საერთო გაზეთი

№16 (521) • 8 მაისი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

პანკისის ხეობის ბერმუდის სამკუთხედი

„მეტი საქართველო კავკასიაში და მეტი კავკასია საქართველოში!“

აუცილებელია ენერგეტიკის დარგში ანტიკრიზისული პროგრამა შემუშავდეს

ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა - გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა

„მფატრავი სანდრა“ და დამუნჯებული პროკურატურა

საქართველო უნდა გათავისუფლდეს ღამურას სინდრომისგან

პანკისის ხეობის ბერმუდის სამკუთხედი

ის, რაც 21 აპრილს პანკისელმა ქისტებმა გააკეთეს, ქართველს რომ გაეკეთებიანა, ძვალ-რბილს გაუერთიანებდნენ და ციხეშიც დიდი ხნით ჩასვამდნენ.

საწყალი ქართველი!

მის მშობლიურ საქართველოში ერთადერთი ეგ არი, კანონის მცირე დარღვევისთვისაც კი მთელი სიმკაცრით რომ სთხოვენ პასუხს და თუ ხმას ზედმეტად აიმაღლებს, ან ხელს ცუდად აიქნევს, მტრისას, რაც იმას დღე დაადგება.

საბრალო ქართველი!

ერთადერთი ეგ არი, ვისზეც დიდი გული აქვთ, ვისიც არ ეშინიათ, ვისიც არ ერიდებათ და თუ საჭიროდ ჩათვლიან, ალიყურსაც უთავაზებენ, პანჩურსაც ამოარტყამენ და ვირის აბანოშიც მიაბრძანებენ.

უბედური ქართველი!

ერთი ეგ არი, საკუთარი თავის გარდა პატრონი და გამომსარჩლებელი რომ არავინ დარჩა ამ ქვეყანაზე, თორემ სხვებს დები და ძმები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები, თავისი რჯულის და გვარტომის ათასეულები დაუდით სხვადასხვა ქვეყანაში.

ერთი ეგ ქართველია ობოლი და ნათესავამოწყვეტილი მთელ დუნიაზე – არც ნუგეშისმცემელი ჰყავს, არც ჭირის დროს მხარში ამომდგომი – მხოლოდ თავისიანების იმედად არის და ეს თავისიანებიც ზოგჯერ მას მიადგებიან, რომ გალახულს და დაჩაგრულს თავისი მხრიდან თავისი წილი წიხლები ურტყან...

ასე იყო 21 აპრილის დრამატული მოვლენების შემდეგ გამართულ დისკუსიებსა და დებატებშიც, სადაც ქართველ პოლიტიკოსთა, არასამთავრობოთა, ქართველ ჟურნალისტთა ერთი ნაწილი მომხდარში საქართველოს და ქართველებს ადანაშაულებდნენ.

ზოგი ბიძინა ივანიშვილს სდებდა ბრალს, ზოგი ეკონომიკის მინისტრს, ზოგი – სუსს, ზოგი – პერსონალურად, გიორგი გახარიას, მაგრამ, გამონაკლისის გარდა არავინ არაფერს ამბობდა მათზე, რომლებსაც შეტევა შეტევაზე მიჰქონდათ თავდაცვის რეჟიმში გადასულ, ფარებაფარებულ, ერთ ადგილზე უძრავად მდგარ პოლიციელებსა და სპეცნაზელებზე.

როცა ხელს ურტყამ და ხელს არ გიბრუნებენ, შენც უნდა გაჩერდე – ასეთია ადამიანურობის დაუწერელი კანონი, რომლის დარღვევა ოდითგანვე დიდ სირცხვილად ითვლებოდა კავკასიელებში.

როცა ურტყამ და ხელს არ გიბრუნებენ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შენი ეშინიათ, ან შენზე სუსტნი არიან და ამიტომ არ გპასუხობენ.

იმ დღეს, პოლიციელებმა და სპეცნაზელებმა, ჩვეულებრივმა ქართველმა ბიჭებმა, თავი გაალახვინეს ვიღაცებს და ხელი არ გაანძრიეს, არა იმიტომ, რომ მომხვდურების შეეშინდათ, არამედ იმიტომ, რომ მათ უკან ქართული სახელმწიფოს ინტერესენი იდგა.

ისინი გმირები არიან, ნამდვილი ვაჟკაცები, რასაც ვერ ვიტყვით იმ ქვასროლიებზე, რომლებიც ისე გამეტებით უშენდნენ ქვებს ამ ბიჭებს, თითქოს მათ წინაშე ცხრა მთის გადაღმიდან მოსული დუშმანი იდგა და არა მათივე სახელწმიფოს შვილები.

ისინი, ეს პოლიციელები და სპეცრაზმელები, ნამდვილი გმირები არიან, თუმცა მათთვის ამ გმირობისთვის მადლობის სიტყვაც არ უთქვამს არავის, მათ შორის არც ქართველ ჟურნალისტებს.

ქართველი ჟურნაისტებიო, კი ვთქვით, მაგრამ მათ ღრიანცელს რომ ვუსმენ, საკუთარი სახელომწიფოსადმი ისეთ ღვარძლს და აგრესიას ავლენენ ხოლმე, გონივრული ეჭვი გიჩნდება – საქართველსადმი მტრულად განწყობილი რომელიმე სახელმწიფოს ინტერესებს ხომ არ ემსახურებიან ეს ვირეშმაკა მამაძაღლები?

სხვანაირად და სხვაგვარად როგორ ავხსნა იმ გადაცემების და თოქშოუების სულისკვეთება და პათოსი, სადაც ისინი, ეს პატივ-

ცემული ვირეშმაკა მამაძაღლები, თავგამოდდებით და მიზანმიმართულად ცდილობენ ყველაფერში ქართული სახელმწიფო და საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულონ.

მარტო „რუსთავი-2“ და მის ჟურნალისტებს არ ვგულისხმობ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა ყველა ტელეჟურნალისტი გვარამია და გაბუნიაა, ზოგიერთი, მაგალითად, გრიგოლია და ჯანგირაშვილი – გვარამიაზე და გაბუნიაზე უფრო დიდი გვარმია და გაბუნია.

აი, ეს ადამიანები, რომელიღაც უცხო სახელმწიფოს იდეოლოგიური დესანტის წევრებივით და აგენტებივით რომ იქცევიან, როგორც ვთქვით, თითქმის სამი კვირაა იმის გარკვევაში არიან, პანკისის ინციდენტი გახარიამ გაუჩალიჩა საკუთარ თავს თუ სხვებმა გაუჩალიჩეს.

გახარიას კი არა ქართულ სახელწმიფოს გაუჩალიჩეს ეს საშიშზე საშიში პროვოკაცია ვიღაც პროვოკატორებმა, რომლებმაც ხადორ-ჰესის თემა საბაბად და პანკისის მოსახლეობის მაპროვოცირებელ თემად გამოიყენეს და ხელში ქვა და ჯოხი ააღებინებს, რომლებიც სხვა დროს და სხვა შემთხვევაში ამას არ გააკეთებდნენ.

ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობოების, მედიის წამომადგენლები ცოტა უფრო კეთილსინდისიერად რომ მისდგომობდნენ კვლევას იმ მიზეზებისა, რომლებმაც ერთად მოიყარა თავი, უსათუოდ მივიდოდნენ იმ დასკვნამდე, რომ პანკისის ხეობაში თითქმის 30 წელიწადია პრობლემების მთელი თაიგული იკვრება და ამ თაიგულის შეკვრაში უამრავ სხვადასხვა ძალას უდევს წილი.

იყო დრო, მთელი საქართველო პანკისის ხეობიდან მარაგდებოდა ნარკოტიკებით, ხოლო, სადაც ნარკოტიკებია, ცხადია, კრიმინალური დაჯგუფებებიც იქ არის.

კრიმინალებთან ერთად, პანკისის ხეობა იქცა რელიგიური ექსტრემისტების, ავანტურისტების, სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების, აგენტებისა და ჯაშუშების, ათასი ჯურის პროვოკატორების თავშეყრის და თავშესაფრის ადგილად.

განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია შეიქმნა ჩეჩნეთის ომის დროს და ამ ომის შემგომ პერიოდში, როცა პანკისს ათასობით დევნილი, მათ შორის, ბოევიკთა დაჯგუფებებიც მიაწყდა.

პანკისის მოსახლეობას მოუშუშებელ ჭრილობად დააჩნდა ე.წ. ისლამური სახელმწიფოს (**ისის**) სასტიკი და სისხლიანი გააქტიურება.

50-მდე პანკისელი წავიდა ამ აპოკალიპსურ ომში, რომელიც **ისის**-მა მსოფლიოს გამოუცხადა და ამ 50 ახალგაზრდიდან, შინ ნახევარიც არ დაბრუნებულა.

ყოველივე ამან დააგროვა ის პრობლემები, რომლებმაც ლამის ბერმუდის სამკუთხედად აქცია პანკისის ხეობა.

ყოველივე ეს ახსოვს საზოგადოებას, მაგრამ რატომღაც არ ახსოვთ ოპოზიციურ პარტიებს, ჟურნალისტთა ერთ ნაწილს, არასამათავრობოებს, რომლებსაც, როგორც ზემოთ ვთქვით, უმთავრეს მიზნად დაუსახავთ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ყველაფერში, ყველა კრიზისულ სიტუაციაში ქართული სახელმწიფო გაამტყუნონ.

კიდევ ერთი დეტალი გამომრჩა, რომელის ართქმა და მიფუჩეჩება არ შეიძლება.

მოქკავშირის ახალგაზრდული ფრთა, რომელიც შევარდნაძის დასამხობად ემზადებოდა, აქტიურად იყენებდა პანკისის ხეობას და იქ დაგროვილ პრობლემებს შევარდანძის ხელისუფლების დასასუსტებლად, მისი დისკრეტდიტაციისთვის.

ისინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ადგილობრივ თუ სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოსულ კრიმინალებთან.

ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითი არსებობს.

მოგვიანებით, ხელისუფლებაში მოსული მოქკავშირის ახალგაზრდული ფრთა, სახელწოდებით, „ნაცმოძრაობა“, სასტიკად გაუსწორდა თავის გუშინდელ მოკავშირეებს და ბოლოს ეს ანგარიშსწორება 11 გვამით დააგვირგვინა ლაფანყურში.

ყოველივე ამის შემდეგ ვინმე დაიჯერებს, რომ 21 აპრილის „აჯანყება“ მხოლოდ ჰესის მშენელობის წინააღმდეგ აგორებული პროტესტის შედეგი იყო და არა წლობით ნაგროვები იმ პრობლემების კულმინაცია, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ?!

ცხადია, ხეობაში დღემდე მობოგინე მრავალი პროვოკაციული ავანტურისტული ჯგუფებიდან რომელიღაცამ (არ არის გამორიცხული, არა ერთმა, არამედ რამდენიმემ ერთად) ცუდად „დაქოქა“ პანკისელი ქისტები და ის ჩაადენინა, რაც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის დანაშაულია, ჩადენილი ორგანიზებულად, ჯგუფურად, რაც კიდევ უფრო ამძიმებს პასუხისმგებლობას ამ ისედაც მძიმე დანაშაულის გამო.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც ამ ანტისახელწმიფოებრივ ქმედებაში მონაწილეობდა, თუმცა აქვე კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ აუცილებლად დასადგენია იმ პირთა ვინაობა, რომლებიც 21 აპრილის ექსცესებს ხელმძღვანელობდნენ და იდეოლოგიურად ამზადებდნენ.

თუ ეს არ გაკეთდება, 21 აპრილი კიდევ ბევრჯერ განმეორდება და განმეორდება მანამ, სანამ პანკისი და მასთან ერთად საქართველო დიდ შარში არ გაეხვევა.

ვახტანგ ხარჩილავა

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

„მფატრავი სანდრა“ და დამუნჯებული პროკურატურა

ჩვენ რომ სამართლებრივად მოწესრებულ სახელმწიფოში ვცხოვრობდეთ, იმ წერილების სერიის შემდეგ, რაც „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნდა („მფატრავი სანდრა“), ან მე უნდა ვიჯდე ციხეში, ან – ქალბატონი სანდრა.

თუ მთლად ციხეში არ ვიჯდებოდით, ერთიცა და მეორეც დაკითხვებზე რომ უნდა დავდიოდეთ პროკურატურაში და ჩვენს სიმართლეს რომ უნდა ვამტკიცებდეთ, ეს უეჭველია.

სამართლებრივად მოწესრიგებულ სახელმწიფოში, სადაც კანონებს პატივს სცემენ და კანონების მიხედვით ცხოვრობენ, ეს ასე იქნებოდა.

სამწუხაროდ, ჩვენთან მსგავსი არაფერი მოხდარა – მე ვწერ და ვბეჭდავ წერილებს, რომლითაც უმძიმეს ბრალს ვდებ ადამიანს წარმოუდგენლად შემაძრწუნებელ დანაშაულში, ეს ადამიანი კი, ვითომც არაფერი, ზუგდიდის მერობაზე იყრის კენჭს და ადგილობრივ მოსახლეობას აბოლებს – უცოდველი კრავი ვარ მე, მშვიდობის მტრედი და თქვენს ასაყვავებლად და გასახარად მომავლინა ღმერთმაო.

მერე რა, რომ ამ „ღმერთს“ მიშა ჰქვია სახელად, მიშა, რომელსაც უამრავი ადამიანის ცოდვა აწევს კისერზე და უამრავ დანაშაულში ბრალდებული, ამჟამად „პაბეგშია“.

აი, ეს „პაბეგში“ მყოფი კრიმინალი უცხოეთიდან გვითვლის: – ვინმე შენგელიას თუ აირჩევთ მერად, ცხადია, ვერ ჩამოვალ, მაგრამ ჩემს სანდრას თუ აირჩევთ, ზაფხულში მანდ გავჩნდები და დაუყოვნებლივ დავიწყებ ლაზიკის მშენებლობასო.

ვერაფერს იტყვი: ჩონგურივით აქვს აწყობილი საქმე ცოლ-ქმარს – ცოლი ზუგდიდის მერი იქნება, ქმარი – ლაზიკის.

მოკლედ, სამეგრელოს სრულ ოკუპაციას აპირებს ეს წყვილი და მე და ჩემისთანა არამკითხე მოამბეები კიდევ ხელს ვუშლით.

მაქვს ეჭვი, რომ ეს ცოლ-ქმარი მთლად ნორმალურები ვერ უნდა იყვნენ, მაგრამ რა გინდა, გასდით და ესენიც უბერავენ.

მართალია, არც სამეგრელოში (არც დანარჩენ საქართველოში), ჯერჯერობით, არ გაცემულა ამომწურავი პასუხი კითხვაზე: ამ ხუთასათასიანი ლაზიკის აშენებას რომ გვპირდებით, ეს ჩვენზე მოამაგე ჩილი დო ქომონჯი (ცოლი და ქმარი-მეგრ.), საიდან მოგყავთ ეს ხუთასი ათასი კაცი, რომლებიც ლაზიკაში უნდა ჩაასახლოთ?

ამ კითხვებზე, ალბათ, მხოლოდ მაშინ დავფიქრდებით, როცა მიშას და სანდრას მიერ ჩამორეკილი 500 000 უცხოტომელი სამეგრელოს საბოლოოდ გადათელავს, გადააგვარებს და გადააჯიშებს.

აი, მაშინ შემოვიკრავთ შუბლზე ხელს, მაგრამ გვიანი იქნება უკვე, ძალიან გვიანი.

თუმცა, სანამ ეს მოხდება, მანამდე, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ამ ჩემს წერილებს და კიდევ ერთხელ დავსვათ კითხვა: რატომ დუმს საქართველოს პროკურატურა და რატომ არ ახდენს იოტისოდენა რეაგირებას ამ წერილებში სანდრა რულოვსის მისამართით წაყენებულ ბრალდებებზე?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას ხომ კანონი ავალდებულებს, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება, როცა ასეთი ინფორმაციები მედიით საჯაროდ ვრცელდება?

იქნებ მე ცილისმწამებელი და პროვოკატორი ვარ და უდანაშაულო ადამიანს მიზანმიმართულად ვწამებ ცილს, რომ პოლიტიკურ მოღვაწეობაში ხელი შევუშალო?

იქნებ, არ ვარ ცილისმწამებელი და პროვოკატორი და რასაც ვამბობ, ყველაფერი სიმართლეა?!

ამ შემთხვევაში, როგორ შეიძლება მერობაზე იყრიდეს კენჭს ამ საქმეების ჩამდენი ადამიანი, რომლებზეც მე ამ პუბლიკაციებში ვლაპარაკობ?

ვინ უნდა გაარკვიოს ეს ყველაფერი, თუ არა პროკურატურამ?

ეს ხომ მისი უშუალო და პირდაპირი მოვალეობაა?

რატომ არ ასრულებს საქართველოს პროკურატურა თავის სამსახურებრივ მოვალეობას?

რა ვიფიქრო ახლა – საქართველოს პროკურატურა, მე, „ცილისმწამებელს“ და „პროვოკატორს“ მიფრთხილდება, თუ დამანაშავე სანდრა რულოვსს აფარებს ხელს?

თუ მოხდება დიდი გაუგებრობა და არაინფორმირებულმა შეცდომაში შეყვნილმა მოსახლეობის ნაწილმა ზუგდიდის მერად სანდრა რულოვსი აირჩია, რომელსაც მოგვიანებით, შეიძლება, ჩემს მიერ წაყენებული ბრალდებები დაუმტკიცოს, იქნება თუ არა ეს საქართველოს პროკურატურის ბრალი?

●

„მინდა ყველას გასაგებად ვთქვა და ნურავის ნუ ეწყინება, რომ მე ბუნებით უფრო რეჟისორი ვარ ვიდრე მსახიობი, რომელიც სხვისი დაწერილი სცენარიდან როლებს ირგებს!“ ეს სიტყვები სანდრა რულოვსს ეკუთვნის. საქართველოში მას გასანადგურებელი კიდევ ბევრი დარჩა და „გამარჯვებაში“ შეფუთულ დამარცხებას ზუგდიდიდან იწყებს!

ჩვენ რომ სამართლებრივად მოწესრებულ სახელმწიფოში ვცხოვრობდეთ, იმ წერილების სერიის შემდეგ, რაც „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნდა („მფატრავი სანდრა“), ან მე უნდა ვიჯდე ციხეში, ან – ქალბატონი სანდრა

დიახ რეჟისორი მსახიობებთან ერთად ცხრა წელიწადი ერთობოდა დახვეწილი გენოციდით, ერის დაპირისპირებით, გარყვნით და ფიზიკური მოსპობით. ბიზნესმენების დატერორების, „სოდის“ მიერ ძარცვა ყაჩაღობის, უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრების და პროკურატურის „როლის“ შესახებ ზღვა ინფორმაცია არსებობს, მაგრამ არსებობს ეჭვიც როგორც ნაცლიდერებზე ასევე მფატრავ სანდრაზე. თუ ყველაფერი მართალია რატომ არ ინტერესდება პროკურატურა და რატომ არ აკავებენ დამნაშავეებს? დიახ, ამ ეჭვს აქვს არსებობის უფლება, განსაკუთრებით ნაცფანებისთვის და იმ ხალხისთვის ვინც სისხლიანი რეჟიმის საცეცებს გადაურჩა, მაგრამ ვინც თავის თვალით ნახა და თავის ტყავზე გამოსცადა ყველა ის უბედურება რაც სანდრიკომ და მიშიკომ დაატრიალა იმ ხალხმა რა ქნას? ადეიშვილი ევროპაში ნებივრობს, მისი პროკურორები კი ისევ მშვიდად სხედან მთავარ პროკურატურაში და ნაცელიტის მითითებებს ასრულებენ. თუ ვინმეს გონია, რომ მთავარი პროკურორი რამეს წყვიტავს ძალიან ცდება.ზუსტად ვიცი, რომ ვერც კადრებით „დაინტერესდება“ და ვერც სს საქმეებით. ნუ, სასამართლოშიც იგივე სიტუაციაა. სწორედ ის ზონდერ მოსამართლეები გაამწესეს უვადოდ რომლებიც ნაცრეჟიმის სისხლიან ლაქებს გულმოდგინედ აქრობდნენ. 2012 წელს სამართლიანობის აღდგენის იმედი ბევრს ქონდა ნაცსამართალდამცავებიც ვირთხებივით იყვნენ გასუსულები, მაგრამ „დასავლეთიდან წამოსულმა სიომ“ სხვანაირად დაბერა და ათასობით საჩივარი დაასამარა. მასობრივი ტერორის ლაბორატორიად ქცეულ საქართველოში ნიურნბერგის მსგავსი პროცესი ოცნებაში ჩაიკარგა. ალბათ, ოცდაათიანი წლების დასაწყისშიც არ ეგონა ვინმეს, თუ გულჩახვეული ფანატი ეფრეიტორი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყნის შლეგ დიქტატორად იქცეოდა და ამ ქვეყნის მრავალმილიონიან მოსახლეობას, ხოლო შემდეგ ლამის ნახევარ მსოფლიოს ფაშიზმის იდეებს თავზე მოახვევდა. მაგრამ ეს მოხდა. და მოხდა სწორედ იმის გამო, რომ ის რეალური პრობლემები, რაც ჰიტლერმა თავისი აღზევებისათვის ასე უნაკლოდ გამოიყენა, უფრო ჭკუადამჯდარმა პოლიტიკოსებმა ვერ და არ გადაჭრეს. თუმცა, ნიურბერგის პროცესის წარმართვა სულაც არ აწყობდა იმ „ფერმის“ მფლობელებს სადაც მიშა და სანდრა დაფრთიანდნენ, მაგრამ მაშინ აიძულეს. ეხლა კი „ფერმის ბინადრების“ გაწირვა არ უღირთ რადგან ჯერ კიდევ ჭირდებათ... მთელი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი თუ რა ხდებოდა გუანტანამოს ციხეებში. ასანჟმა წარმოადგინა ამ ციხის დოსიე, ასაჯაროებდა ამერიკელი ოფიცრების თუ ჯარისკაცების დანაშაულებებს ყველამ გაიგო სიმართლე და რა მოხდა შემდეგ?დიახ, მთელმა მსოფლიომ გაიგო რომ, ჰუსეინ სადამს არ ჰქონდა ქიმიური იარაღი, გაიგო თუ რა ხდებოდა „აბუ- გრეიბის“ ციხეში. თუ როგორ დახოცეს დღისით მზისით ქალაქ ბაგდათში მშვიდობიანი მოსახლეობა, ლიბიელი ლტოლვილების წამება, ფერადი რევოლუციები, პოლიტიკური მაქინაციები, ტოტალური კონტროლი. ასანჟმა წარმოადგინა დოკუმენტაცია, მაგრამ სამყარო დუმდა. დამნაშავეები არ დასჯილან. უარესი - ისინი კომფორტულ ცხოვრებას განაგრძობენ. ის კი ვინც აწამებდა, კლავდა, ვინც ქვეყნებს ძარცვავდა დღემდე სჩადის ამას, თავს გრძნობენ ვითარცა თევზი წყალში. მაგრამ ვინც მათ ამხელდა და უნდოდა სიმართლე სცოდნოდა ხალხს, იძულებულნი იყვნენ ყოფილიყვნენ დევნილობაში, ახლა კიდევ ციხეს გაამწესეს. რადგან, სიმართლეს ნაკლებად ყავს მოკავშირეები ან სულაც არ ყავს მსოფლიოს მოსწონს სიყალბეში ცხოვრება. უმეტესობას სიმართლეზეც მიუფურთხებია. მიეცით მხოლოდ მცირეოდენი სიმაძღრე და მცირეოდენი კომფორტი. პლაზმური ტელევიზორი, პიცით. მიეცით საშუალება დეგრადაციისა. სიმართლე დღეს ძალიან ცოტას თუ სჭირდება. ზუსტად ამიტომაც ის არა მარტო მწარეა, არამედ სიკვდილამდე გამოუსადეგარია. ზუსტად ამიტომაც მის სხეულზე ასე მხიარულად ნავარდობენ მოცეკვავე იდეალურ კოსტუმებში გამოწყობილნი, ცივი სახეებით მოგუგუნე სისტემის მამები.და როდესაც სამყარო, მწოლიარე სიყალბეში, ბოროტებაში, დაეტაკება რეალობას, რა თქმა უნდა, ლოგიკურიც იქნება. დაადანაშაულეთ საკუთარი თავი პირველ რიგში, იმის გამო რომ თქვენ სამართლიანობის მოსმენა ან არ გსურდათ, ან არ შეგეძლოთ მოგესმინათ.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

უმადურობის სინდრომი

წერილი მეხუთე

ბატონო ბიძინა, ამას წინებზე კახეთში ვიყავი (რაკი იქით მაქვს გეზი, სულ კახური მაგალითებით გელაპარაკებით), რამდენიმე გლეხმა გამომიცხადა, ქვეყანა ინგრევა, დაიქცა, პატრონი არ გვყავსო. იქით შევუტიე, ფაქტები დადეთ-მეთქი. აიო, ბოლო ორი წელიწადია, ჩვენთან ათასობით ჰექტარზე ვენახები შენდებაო. ტაში შემოვკარი, ეგ ქვეყნის დანგრევა და დაქცევა კი არა, აღმშენებლობაა-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, იგივე გლეხებს მაინც აქვთ თავიანთებური არგუმენტები – მათი მტკიცებით, თუ თბილისიდან ჩასული ფულიანი ტიპები ათასობით ჰექტარზე ვენახებს გააშენებენ, თუ ღვინის მარნების მფლობელებს თავიანთი ყურძენი ექნებათ (და საქმე სწორედ აქეთ მიდის), მაშინ გლეხების მიერ მოწეული პროდუქცია დალპება და გადასაყრელი გახდება, ანუ ყურძენი უფრო გაიაფდება. ალბათ დამეთანხმებით, ამ შემთხვევაში მუშაობს ბურჟუაზიული კანონი – ძლიერნი უფრო ძლიერდებიან, სუსტნი უფრო სუსტდებიან და ქრებიან. რა სჭირდებათ ჩვენს გლეხებს, რომ გრანდებმა არ გასრისონ, ბაზარზე ცოტაოდენი კონკურენცია მაინც გაუწიონ და სული მოითქვან? პირველ რიგში, იაფფასიანი მექანიზაციაა საჭირო. კი, ბატონო, ყველა რეგიონში შეიქმნა ემტეესის მსგავსი სატრაქტორო პარკები, მაგრამ გლეხებისთვის ესეც ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა. მაგალითად, სატრაქტორო პარკი არის ჩალაუბანში, გლეხი მიდის, რომ იქირავოს ტრაქტორი და მოხნას ნაკვეთი, ეს ნაკვეთი არის ალაზნის ველზე, 30–40 კილომეტრში, ქირაობისას ანგარიშობენ გზის ფულსაც, კილომეტრი ღირს 1 ლარი. დაახლოებით 40 ლარს უნდა დავუმატოთ საწვავისა და მომსახურების ხარჯები. თანხა იმდენზე ადის, დაინტერესებულ ადამიანს არ უღირს. ამიტომ ის მიდის და დანჯღრეულ ტრაქტორს ეძებს თავისსავე სოფელში. დანჯღრეულს-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ რაიონებში ისევ საბჭოთა დროინდელი მექანიზაციაა, ტრაქტორისტებს მატორები ლამის ხელით რომ დააქვთ, ისეთი. იმას არ გეუბნებით, ახალი მექანიზაცია საკუთარი ფულით იყიდეთ და გლეხებს დაურიგეთ, აჩუქეთ-მეთქი, ამ შემთხვევაში აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა. როდესაც ხელისუფლებაში მსჯელობენ, თუ როგორი ძეგლი უნდა დავუდგათ ჰიპოპოტამს გმირთა მოედანზე, პირადად მე თვალწინ მიდგება კახელი გლეხი, რომელიც 21-ე საუკუნეში ისევ ჯორის „ტაჩკით“ დარახრახებს, უკეთეს შემთხვევაში კი – ძირგამძვრალი „ჟიგულით“, რომელმაც ტექდათვალიერება ვერ გაიარა. თუ ღმერთი გწამთ, რა გვეჰიპოპოტამება? ალბათ ჩემზე უკეთესად იცით, როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა და ჩინეთმაც ეკონომიკური რეორგანიზაცია დაიწყო, პირველად რაც გააკეთეს, იყო ის, რომ შეიტანეს იაფფასიანი მექანიზაცია, უმეტესად მინი-ტრაქტორები და დაყარეს მაღაზიებში. როდის არის ხელისუფლება კარგი? მაშინ, როცა ცხოვრებას კი არ მირთულებს, ცოტაოდენ მაინც მიიოლებს. დღეს ქართველი გლეხი ვენახსა თუ ბაღ-ბოსტანში დადის მოფახფახებული ავტომობილით, რომელიც ვირისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ თივის ნაცვლად ბენზინი უნდა და ცოტა უფრო მძლავრია. ასეთი ავტომობილი არის ათასობით და ასი ათასობით. მე არ ვამბობ, ხალხმა გაუმართავი ტრანსპორტით უნდა იაროს და ერთმანეთი გაჟუჟოს-მეთქი, მაგრამ რეგიონებისთვის, სოფლებისთვის მაინც რაღაცას მოვიფიქრებდი, იგივე რეგულაციებით არ მივუდგებოდი, როგორიც ამოქმედდა ქალაქებში. სხვათა შორის, ავარიების დიდი ნაწილი (ალბათ 99%) მოდის არა დანჯღრეულ, ჯორის „ტაჩკის“ ჩემცვლელ „ჟიგულებზე“, არამედ გაზიმზიმებულ, ახალ მანქანებზე.

ბოლო დროს პერიოდულად ჩნდება ინფორმაცია, რომ მალე საქართველოში დაიწყება ელექტრომობილების გამოშვება, მალე თბილისში გაიხსნება ავტობუსების ქარხანა. ჯერ ერთი, თბილისში რა უნდა ავტობუსების ქარხანას, ისედაც ძლივს ვსუნთქავთ და მეორეც – ჩვენ დღეს გვჭირდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, და არა ავტობუსები თუ ელექტრომობილები. მართალია, ჯერ არც ერთი გვინახავს, არც მეორე და საერთოდ თუ იქნება, ეგეც არ ვიცით, მაგრამ რეგიონების მოსახლეობას ტრაქტორები უფრო აწყობს. თუ ჩვენ ვერ ვერ შევძლებთ, ჩინელები დავიხმაროთ, აქ გავხსნათ ქარხანა, მაგათ იციან, როგორ უნდა დავყაროთ იაფფასიანი მექანიზაცია.

და კიდევ ერთხელ სამთავრობო პიარზე: ამ დღეებში გამოცხადდა, მარჯვენასაჭიანი ტაქსები 2021 წლიდან აიკრძალებაო. მაგალითად, მე მომხრე ვარ, მარჯვენასაჭიანი ავტომობილები საერთოდ აიკრძალოს, რადგან ეს არის კანონდარღვევა, მაგრამ როგორც მახსოვს, ამჟამად არის 2019 წელი, საპარლამენტო არჩევნებამდე რჩება თითქმის წელიწადნახევარი, რა გრჯის, შე დალოცვილო, 2021 წელს რას აპირებ, იმას რომ მიცხადებ?

ისე, მეც ვამბობ, რააა... ბატონო ბიძინა, თქვენ გგონიათ, მინდვრებში ტრაქტორების ნაცვლად ბრილიანტები რომ დაყაროთ, დაგიფასებენ? არა, არ დაგიფასებენ, მაგრამ ეგ, ალბათ, მაინც გასაკეთებელია. ამას წინებზე ერთ თითქმის დაბრმავებულ მოხუც ქალს თვალების ოპერაცია გაუკეთეს, სახელმწიფომ ბოლომდე დააფინანსა, ექიმები ზედ გადაჰყვნენ. გამოვიდა კლინიკიდან, მიიხედ-მოიხედა და ჩაილაპარაკა, თუ მთავრობამ ხალხისთვის არაფერი გააკეთა, 2020-ში ხმას ვინ მისცემსო? შენ თვითონ რას აპირებ-მეთქი? რა უნდა დავაპირო, აბა, რა გააკეთესო? ვიფიქრე, ჩასცხე ამას ამ უმადურ თავში და ხელახლა დააბრმავე-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე, ჩვენ ხომ მიმტევებელი და ყველაფრის ამტანი ხალხლი ვართ? ჰოდა, იმ ტრაქტორებსაც, თქვენ რომ დაყრით იაფად, თუ რამე გაუფუჭდება, ეგრევე ლანძღვას დაგიწყებენ, რათაო, რათ გაფუჭდაო?!

მე მგონი, ნამდვილი ამბავია, თურმე ვასილ მჟავანაძე ფეხით დადიოდა სამსახურში. ერთი სახლის პირველ სართულზე ფანჯრის მინას მიუკაკუნებდა. ოჯახის უფროსი ეტყოდა შვილს: ადე, სკოლაში წასვლის დროა, მჟავანაძე აკაკუნებსო. ერთხელაც მჟავანაძე მანქანით წასულა სამსახურში. მეორე დღეს გაიარა ის ქუჩა და ფანჯრიდან გადმოყუდებული მობინადრე ეუბნება საყვედურით – თქვენს გამო ბავშვმა სკოლაში დააგვიანა, გუშინ რატომ არ დააკაკუნეთო? ხომ არ გეცნობათ? თქვენს ცხოვრებაშიც ბევრია მსგავსი ფაქტები.

თუმცა ერთია უმადურობა, რომელიც სიბრიყვეს უფრო ჰგავს და მეორეა – როცა შენს მიერ ხელდასმული ადამიანი გიფუჭებს საქმეს. მაგალითად, მე ვთვლი, რომ ეკონომიკის მინისტრი ქობულია, რომლის სახელის დამახსოვრებაც კი ვერ მოასწრო საზოგადოებამ, ცოტა ადრე უნდა გაგეშვათ – ტიპი აშკარად იყო მოწყვეტილი რეალობას. დღეს თქვენს (ჩვენს) ცხოვრებაში არსებობენ გარე უმადურები და შიდა უმადურები. გარეს ვუწოდებ მასას, რომელსაც თქვენთან პირადი შეხება არასოდეს ჰქონია და უბრალოდ აყოლილია „ნაციონალების“ შავ პიარს... შიდას ვუწოდებ ადამიანს, რომელიც თქვენი ხელდასმით ჩაბრძანდა მინისტრისა თუ სხვა თანამდებობრივ სავარძელში და ბრიყვულ განცხადებებს აკეთებს. აბა, ის რა იყო, ისეთი ხალხი არ გვჭირდება, ვისაც მაცივრისა თუ ტელევიზორის გამოტანა უნდა განვადებითო? რა ვიცი, მაგ კაცზე იძახდნენ, რუსეთში აქვს მაგარი სამსახური თუ ბიზნესი, ჭკვიანიაო. წესით, თუ ადამიანი ჭკვიანია, უნდა იცოდეს, რომ მთელი ამერიკის შეერთებული სტატები და ევროპა განვადებებზე ზის, იქ იშვიათია, ვინმემ ნაღდი ფულით რამე იყიდოს. სხვათა შორის, ახალმა საბანკო რეგულაციებმა მაგრად დაარტყა მოსახლეობას, აქ უკვე ვხედავ ბანკების მხრიდან სიტუაციის დაძაბვის მცდელობასაც – როდესაც სამომხმარებლო სესხს არ უმტკიცებ ადამიანს, რომელსაც აქვს შესანიშნავი ისტორია და ასევე ოფიციალური შემოსავალი, ეს უკვე საბოტაჟია.

თუნდაც ჭარბვალიანობაზე ვთქვათ: ძალიან დიდი საქმე გააკეთეთ, როცა 600 ათას ადამიანს საბანკო ვალები გაუნულეთ. ალბათ მსგავსი ქველმოქმედება საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. თუმცა ისტორიას არც ის ახსოვს, ამხელა სიკეთის გამო მადლობა არავის გადაეხადოს და „განულებულებსაც“ კი იქით დაეწყოთ, ივანიშვილს ეს ყველაფერი საარჩევნოდ დასჭირდაო. ამის შემდეგ კი მოხდა რა? ჩვენ მოსახლეობას უარს ვეუბნებით სესხების აღებაზე, რათა ისევ ვალებში არ გაიჭედოს, ვკრძალავთ იპოტეკურ სესხებს და ვტოვებთ სესხსებს გამოსყიდვით – ესე იგი, ადამიანი მაინც დებს ქონებას გარკვეული თანხის სანაცვლოდ და



6 გვ. →

აუცილებელია ენერგეტიკის დარგში ანტიკრიზისული პროგრამა შემუშავდეს

პანკისის ხეობაში 5-მეგავატიანი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებას ადგილობრივებსა და პოლიციას შორის მწვავე დაპირისპირება მოყვა, რომლის რეალურ მიზეზსაც, იმედია, გაარკვევენ სამართალდამცავი და საგამოძიებო სტრუქტურები. იმ დაძაბულ დღეებში მრავლად მოვისმინეთ პროვოკაციული განცხადებები ე.წ. პოლიტიკოსების, საზოგადო „მოღვაწეთა“ თუ ჟურნალისტთა მხრიდან. „ყოვლისმცოდნეთა“ აზრით, თურმე საქართველოს არ ჭირდება ელექტროსადგურები, დენი ისედაც საკმარისზე მეტი გვაქვს.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, გვესაუბრება თბილისის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის ჰიდროპროექტის ყოფილი დირექტორი, ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ ჭითანავა.



— პირველ რიგში იმას გეტყვით, რომ პანკისის ხეობაში რომელი ჰიდროელექტროსადგურის აშენებაც უნდათ, მისი დადგმული სიმძლავრეა ის ხუთი მეგავატი, რომელსაც წელიწადში მხოლოდ ოთხი თვე ანვითარებს. დანარჩენი პერიოდი სადგური 1,5–2 მეგავატ და ოდნავ მეტ სიმძლავრეზე მუშაობს. ვისაც ელექტროენერგიის მოხმარების გაზრდა უკვირს, მათ გასაგონად ვამბობ, დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ამერიკის ეკონომიკა ერთი ტრილიონით გაიზარდა. ელექტროენერგიის მოხმარება, თუ ის მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-ია, ამდენით არა, მაგრამ 2,5%-ით გაიზარდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აშშ-ის ეკონომიკა, ინდუსტრია ვითარდება ელექტროდამზოგი პოლიტიკის მკაცრი რეგლამენტირების პირობებში. ისინი ცდილობენ ელექტროტევადი ტექნოლოგიები რაც შეიძლება შეამცირონ და მთლიანი შიდა პროდუქტის ერთეულის ღირებულება იყოს რაც შეიძლება ენერგოეფექტური. თუ საქართველოში ერთი კილოვატი ელექტროენერგია სამი დოლარის პროდუქციას აწარმოებს, ამერიკაში ისეთი ტექნოლოგიები აქვთ, რომ შვიდი დოლარისას აწარმოებენ, ანუ ნაკლებ ელენერგიას მოიხმარენ და მეტ პროდუქციას უშვებენ. ასე რომ, მაღალი ტექნოლოგიების პირობებშიც კი, ყველაზე ძლიერ ინდუსტრიულ ქვეყანას ვერ მიუღწევია, ელექტროენერგიის მოხმარება უფრო მეტად შეამციროს. მას ჭირდება ყოველწლიურად მოხმარების ზრდა, ე.ი. ახალი სიმძლავრეების შეყვანა, რასაც აკეთებს, რომ ეკონომიკა არ ჩამორჩეს. საქართველოში ყველაზე მეტად არასპეციალისტები გაიძახიან, რომ თურმე თავზე საყრელად გვაქვს ელექტროენერგია და მეტი არ გვჭირდება. მართლაც ასე რომ იყოს, მაშინ 1 კვტ-ით სამი დოლარის პროდუქციას კი არა, რაც მთელი მსოფლიოსთვის გამოყვანილი საშუალო არითმეტიკულია, განვითარებული ქვეყნებისთვის 7–8–10 დოლარის პროდუქციას უნდა ვაწარმოებდეთ. ამ ციფრიდანაც ჩანს, რომ ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა დაბალია, სამწუხაროდ უაღრესად ჩამორჩენილები ვართ. ელექტროფიკაცია ჩვენი ქვეყნის №1 პრობლემაა, ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი ტექნოლოგიების და სიმძლავრეების ბაზაზე განვითარება უფრო რაციონალური ბუნებათსარგებლობის წესებიდან გამომდინარე. ეს არის ქვეყნის უმთავრესი ამოცანა და როდესაც ის დღის წესრიგში დგება, პირველ რიგში იმას იხილავენ საკუთარი რა რესურსები გაქვს ისეთი, რომ მას დაეყრდნო და ამ ბაზაზე განავითარო ქვეყანა. ჩვენ გვაქვს წყალი, გაზი, ნავთობი და ქვანახშირი, მაგრამ წყლის გარდა, ყველა ისეთი მცირე რაოდენობით, რომ შეუძლებელია ამ რესურსებზე მყარი, მდგრადი ეკონომიკა ააშენო. წყალია ის ერთადერთი რესურსი, საკმაოდ მასშტაბური პარამეტრები, რომელიც გონივრულად გამოყენების შემთხვევაში, ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანს. ვფიქრობ, საქართველოში აუცილებლად უნდა შეიქმნას ენერგეტიკასთან დაკავშირებული ანტიკრიზისული პროგრამა, როგორც ეს 70-იანი წლების მიწურულს აშშ-ში გაკეთდა პრეზიდენტ კარტერის ინიციატივით და მას შემდეგ მოქმედებს. ანტიკრიზისული პროგრამის შექმნა თუნდაც იმიტომაა აუცილებელი, რომ ყოველწლიურად იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება, შესაბამისად იზრდება მოთხოვნა იმპორტზე, ჩვენ ზაფხულშიც კი ვახდენთ ელექტროენერგიის იმპორტს. ასეთი ენერგოდეფიციტის პირობებში, ვიღაცები ჰესების მშენებლობას ეწინააღმდეგებიან. ხუდონის გარდა, გაჩერებულია ნამახვანისა და ონის ჰესების მშენებლობა, რაც შეეხება ნენსკრას, იქ დაწყებულია მუშაობა და მიმდინარეობს.

მე დავაყენე საკითხი, ანტიკრიზისული პროგრამის შექმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით, უნდა გაიწეროს ვინ იქნება ამ პროგრამის შემსრულებელი, პასუხისმგებელი და დრო. პროგრამა უმაღლესმა ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, მაგრამ მანამდე უნდა მოხდეს განხილვა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ყველა რეგიონიდან უნდა იყოს შემოვიდეს შენიშვნები და წინადადებები, ინსტიტუტები უნდა მონაწილეობდნენ, იქ მარტო ის კი არ უნდა იყოს იქ მინიშნებული კონკრეტულ ადგილზე ჰესი უნდა აშენდესო, არამედ რას გამოიწვევს მისი აშენება, როგორ გავლენას მოახდენს მოსახლეობის კეთილდღეობაზე, როგორ გაუმჯობესდება მისი მატერიალური მდგომარეობა. როგორ მოიმატებს ფასი, როგორ გაძვირდება ცხოვრება, მაგრამ რა გავლენას მოახდენს მის კეთილდღეობაზე, იქნება თუ არა ელასტიური ამასთან მიმართებაში. გარდა ამისა, ბუნებათ სარგებლობაში როგორი იქნება დაყვანილი საორიენტაციო სიდიდეები, შემცირდება გამონაბოლქვები, ბენზინის ხარჯვა, ხე-ტყის და ნავთობის გამოყენება, შემცირდება ელექტროენერგიის გამოყენებაც, სამაგიეროდ გაიზრდება ცხელწყალმომარაგებისთვის მზის სისტემებისა და ქარის ენერგიის გამოყენება. პროგრამაში ეს სიდიდეები კონკრეტულად უნდა იყოს ნაჩვენები და რომ მათ არ შეუძლიათ გადაფარონ მოთხოვნილება (ეს მიახლოებითაც კი არ შეუძლიათ), რომელიც არის ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით. თუ ეს ყველაფერი გვეცოდინება, რეგიონებში რომ მოხდება ამის დაფიქსირება და გაჩნდება ინფორმაცია, რომ მიღწეული იქნება ცხოვრების ეს დონე, ამდენი შემოსავალი იქნება რეგიონების მიხედვით, ხალხი გვერდით დაუდგება ხელისუფლებას. თითოეული რეგიონის მიერ გაღებული ხარკი (კარგი გაგებით) უნდა შეფასდეს, ხალხის მონაწილეობა ამ საქმეში, შეიძლება შეჯიბრიც კი იყოს რეგიონებს შორის, სად უფრო მეტი ნაწილი განხორციელდება ამ პროგრამის. ამ პრინციპით დაწერილი და ხელისუფლების მიერ დამტკიცებული პროგრამა, სავალდებულო შესასრულებელი იქნება, კანონი დაგავალდებულებს მის განსახორციელებლად იმუშაო. ანტიკრიზისულ პროგრამას თუ ასეთი განმარტება მიყვა, ყველასთვის გასაგები იქნება, მაგრამ თუ მოსახლეობას არ განვუმარტეთ და პოლიტიკური ფანდად ჩაითვალა, რომ ვიღაცამ დრო გაიყვანოს, ზუსტად ასე „გადაგორებული“ რომ არის ყველაფერი, იმიტომ არ გვეღირსა პროგრესი. უნდა მივიტანოთ ეს პროგრამა ხალხამდე, თვითონ რომ ხდება ამის მონაწილე, მასთან რომ არის შეთანხმებული, მერე თვითონვე დაიცავს. ამ ქვეყნის მოქალაქეს თუ მე არ მეცოდინება, როგორ დაგიდგები ხელისუფლებას გვერდზე?

— ბატონო ანზორ, პანკისის ხეობაში შევარდნაძის მმართველობის დროსაც შენდებოდა ჰესი, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, მაშინ ასეთი აჟიოტაჟი არ ამტყდარა.

— პანკისში მდინარე ხადორზე ორი სადგური უკვე აშენდა და ახლა მესამეს აშენებენ. ადგილობრივი მცხოვრები ვარ და ვსვამ კითხვას, რა მომცა მე ამ ორმა სადგურმა? ამ ობიექტის ქონების გადასახადმა, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტში შევიდა, მე კეთილდღეობა მომიტანა, გამამდიდრა? დავუშვათ შევიდა ერთი მილიონი ლარი, ეს თანხა რაში დაიხარჯა, სკოლა აშენდა, გზა, ხიდი თუ ჯანდაცვის ობიექტი გაკეთდა, თუ წყალმომარაგება გაუმჯობესდა? რა გაკეთდა ბიუჯეტში შესული ამ თანხიდან და როგორ გამიუმჯობესა მე ცხოვრების პირობები? თუ შენ დამიმტკიცებ, რომ მართლა ამ თანხამ გამიუმჯობესა პირობები, ეს ჩემთვის საკმარისი არ არის. მე მარტო ქონების გადასახადიდან კი არა, კონკრეტული ობიექტის მშენებლობის პროცესშიც უნდა მქონდეს შემოსავალი. დასაქმებული უნდა ვიყო და ხელფასს უნდა ვღებულობდე. წარმოება უნდა აშენდეს, რომელიც ადგილობრივი ნედლეულით იმუშავებს, ხე-ტყის გადამამუშავებელი იქნება ეს, ხილ-კენკრის თუ სხვა, უამრავი რაღაცის გაკეთება შეიძლება, რაც სხვა რეგიონებისთვისაც მისაბაძი იქნება. როცა ადგილობრივს ამას გამიკეთებ და მეცოდინება, რომ ეს შენი ობიექტის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში, რა თქმა უნდა შენი მომხრე ვიქნები. მაგრამ შენ მეუბნები, რომ საძოვარი უნდა წამართვა, მდინარეში წყალი არ უნდა დამიტოვო, ან იმდენს ტოვებ რომ არავის ყოფნის, ქონების გადასახადის გარდა, არაფერს მაძლევ, მე ეს არ მაკმაყოფილებს. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პროექტის სოციალურ მდგენელზე, საბჭოთა პერიდის პროექტებში, რომლების შექმნაში მეც ვმონაწილეობდი, მთელი ხარჯთაღრიცხვის 35% სოციალურ მდგენელზე მოდიოდა. ეს იყო გზები, ხიდი, საავადმყოფო, სკოლა, სპორტდარბაზი, ამბულატორია და ა.შ. მშენებლობა თუ შეკეთება. ეს 35% კონკრეტული ობიექტის მშენებლობის პერიოდში იხარჯებოდა, ახლა კი ერთი თეთრიც არ იხარჯება სოციალურ საკითხებზე. თუ დამკვეთია თუ ინვესტორი, იკისრა და თქვა, სკოლას გავარემონტებო, დიდი შეღავათი ჰგონიათ. ეს მისი „კეთილი ნება“ კი არა, ვალდებულება უნდა იყოს. აგერ მიმდინარეობს ნენსკრაჰესის მშენებლობა, რომელსაც 2.000 მუშახელი ჭირდება, მაინტერესებს, სვანეთში გაჩნდა მოთხოვნილება, რომ სკოლაში დამატებითი კლასები გაკეთდეს, ან სულაც ახალი სკოლა აშენდეს, ამბულატორია ამუშავდეს. არაფერი არ გაჩენილა, ე.ი. იტყუებიან, იმას ვგულისხმობ, რომ ადგილობრივეებს კი არ ასაქმებენ, ეს მუშახელი საიდანღაც ჩამოყვანილი ხალხია, რომლისთვისაც არაფერს აკეთებენ. ადგილობრივებისთვის ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს და თუ გაკეთდა, მოსახლეობა კი არ დაგიპირისპირდება და აქციებს მოგიწყობს, შენი მომხრე იქნება. თუ ეს დამკვეთი და ინვესტორი ბოლომდე ქაჩავს სარგებელს, ამბობს, რომ 1 კვტ დენზე 6 ცენტი უნდა მიიღოს, რათა აინაზღაუროს დანახარჯები, დაფაროს ბანკის სესხები და მოგებაც მიიღოს, რატომ არ მიწერ იმავე ხელშეკრულებაში, რა შეღავათები უნდა გაავრცელოს მან რეგიონში ამ მშენებლობის გამო, რომ ელექტროენერგიის გადასახადი შემცირდეს. რომ ადგილობრივი წარმოების მეტი ინფრასტრუქტურული ობიექტი აშენდეს და დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა. თუ ეს ყველაფერი არ იქნა პერსპექტივაში გათვალისწინებული, რომ აუცილებლად გაკეთდება, მოსახლეობას ვერ დაავალდებულებ ხვალინდელი ქათმის იმედით დაკმაყოფილდეს. თუ ინვესტორს ბოლომდე გინდა პასუხები მიიღო და ჩადო ხელშეკრულებაში, რატომ არ გინდა მო-

6 გვ.

უმადურობის სინდრომი

5 გვ.

მას რჩება მხოლოდ ამ ქონების გამოსყიდვის უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ფაქტობრივად მივიღეთ უარესი შედეგი, თუ იპოთეკის შემთხვევაში მოლაპარაკება მაინც შეიძლებოდა, ახლა რჩება მხოლოდ საკუთარი ქონების გამოსყიდვის შანსი.

ბატონო ბიძინა, ამ წერილის დამთავრება ამით მინდოდა, მაგრამ ბოლო რამდენიმე დღეა ისეთი რაღაცები ხდება, ვერ ვახერხებ. ალბათ, გახსოვთ, მომღერალი თამარ ჭოხონელიძე, რომელსაც ადრე ბერაც კი მოანათვლინეთ და იყო დრო, როცა პირადად თქვენი და თქვენი ოჯახის მზეს ფიცულობდა. ავი ენები ამბობენ, ბიძინამ თამარს თბილისის პრესტიჟულ უბანში ბინაც კი აჩუქაო. დარწმუნებული ვარ, ბინის გარდა სხვა რამე-რუმეებიც გექნებათ ნაჩუქარი. ჰოდა, ეს თამარი, როცა ნათელ-მირონად გაიხადეთ, მაშინ ქმარს („ნაციონალ" გია როინიშვილს) იყო გაცილებული და „ნაციონალები" ისე სძაგდა, ტელევიზორში მათზე კარგს ვერ დააცდენინებდი. ერთ დღესაც, მომღერალმა, მთელი ცხოვრება ერთი და იგივეს რომ მღერის ერთ ტონალობაში, გამოაცხადა, ქმარს შევურიგდიო. ნუთუო? – იკითხა ერმა და ეგრევე დაიწყო ღადავი, ნეტა რა პირობა დადეს ასეთი, რომ თამარი ეგრევე გადახტა „ნაცებში" და ეგრევე გაიჩითა „რუსთავი 2"-ში სამუშაოდო? კი, ბატონო, ყველას თავისი ცხოვრება აქვს, ვისაც როგორ უნდა, ისე მოიქცეს (მაგისი დარდი არ გვაქვს მე და თქვენ), მაგრამ უბრალოდ გაუგებარია, რატომ გახდით მისთვის „ხიხია" მას შემდეგ, რაც ქმარს შეურიგდა? ან რატომ გახდა ეს ოდესღაც „ეროვნული" ქალბატონი საპირისპირო მიმართულების, ანუ გეების დამცველი და რატომ განაცხადა, საპატრიარქოს მიერ დაგეგმილ კონცერტში მონაწილეობას ვერ მივიღებო? ვიმეორებ: ყველას თავისი გზა აქვს, სულ არ მაინტერესებს, ვინ სად იმღერებს და ვინ ვის დაიცავს, მაგრამ ვერ გამიგია, რატომ ხდებიან თქვენგან დიდად პატივნაცემი ადამიანები თქვენივე დაუძინებელი მტრები? ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ვერსია მაქვს, რომელიც მრავალწახნაგოვანი გახლავთ – ნათქვამია, მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადააჩვევო. ესე იგი, რომ მიაჩვიეთ და მერე გადააჩვიეთ, უცებ ხანჯლები აიღეს ხელში. ისიც არის ნათქვამი (იესომ თქვა), ნუ დაუყრით ღორებს მარგალიტებსო. ესე იგი, მარგალიტები რომ დაუყარეთ ღორებს და მერე აღარ დაუყარეთ, ძალიან ავად აღრუტუნდნენ. კიდევ ბევრი რამეა ასეთებზე ნათქვამი, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ერთი სიტყვით კვალიფიცირდება: „უზნეობა".

პატივისცემით,
გელა ზედელაშვილი

აუცილებელია ენერგეტიკის დარგში ანტიკრიზისული პროგრამა შემუშავდეს

6 გვ.

საზოგადოებას თავის მოთხოვნებზე პასუხი გასცე? მოსახლეობას უმეტესწილად არ ყოფნის კვალიფიკაცია, ისე ისაუბროს, რომ ბოლომდე წარმოაჩინოს თავისი მოთხოვნები, მას ამ შემთხვევაში ვინ უნდა დაეხმაროს, თუ არა რეგიონისა და რაიონის ხელმძღვანელი.

კომუნისტების მმართველობის პერიოდში აღმასკომის თავმჯდომარეები იყვნენ პროექტის შემდგენების და მშენებლების უპირველესი დამხმარე, სულ ერთად ვმუშაობდით. დაწყებული ინვენტარიზაციიდან დამთავრებული ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნებით, რაიონის ხელმძღვანელობა ქმნიდა

დოკუმენტაციას, რომელიც აღმასკომის სხდომაზე მტკიცდებოდა და ეს საერთო სულისკვეთება-განწყობის დამადასტურებელი დოკუმენტი შედიოდა პროექტის შემადგენლობაში. დღეს ვინმეს გინახავთ, რომ ან ამ პროექტის მთავარი ინჟინერი გამოსულიყო და დაეცვა პროექტი, ან რაიონის გამგებელს ეთქვა, რა სისულელეებს იგონებთ, ეს ყველაფერი ხომ გათვალისწინებულია პროექტშიო? ერთადერთი კახეთის გუბერნატორმა ქადაგიშვილმა თქვა, ადგილობრივებმა ყველაფერი იცოდნენო. რა იცოდნენ? რადიოსა და ტელევიზიაში რომ გამოხვალ და იტყვი უნდა აშენდესო, ეს არ არის მოსახლეობის ინფორმირება. ხალხს რომ აუხსნი რა სარგებელი მოყვება ამ პროექტის განხორციელებას, ამას ჰქვია ინფორმირება. ვიმეორებ, მე თუ სარგებელი ვერ დავინახე, შენს გვერდით არ დავდგები. თუ ასეთი მუშაობა იქნა ჩატარებული დამკვეთ-ინვესტორის და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, მაგრამ ხალხი მაინც წინააღმდეგია, მაშინ პოლიტიკური შანტაჟია. ჩემი ინფორმაციით, იქ ეს მუშაობა არ ყოფილა ჩატარებული, ამიტომ პანკისელებს ვერ დავაბრალებთ და გავამტყუნებთ, რომ ვიღაცის წაქეზებულები და ზეგავლენის ქვეშ არიან. მე ასეთი პოზიცია და მიდგომა მაქვს, მაგრამ რა თქმა უნდა, ყოვლად მიუღებელი იყო, რა ფორმითაც ადგილობრივები სამართალდამცავებს დაუპირისპირდნენ. მაგალითისთვის გეტყვით, ენგურჰესი რომ აშენდა, პარალელურად აშენდა მისი შემოგარენი, ზუგდიდი, გალი, წალენჯიხა, თბილისსა და სოხუმში საცხოვრებელი კორპუსები ავაშენეთ, კინდღში აგარაკები და სხვა მრავალი.

– საზოგადოება არცთუ იშვიათად გამოთქვამს პრეტენზიას, ამდენ ჰესებს აშენებენ, ელექტროენერგიის ფასი კი კლების მაგივრად, მატულობსო.

– მთლად ასეც არ არის. ჩვენ როდესაც ხუდონჰესის პროექტი გავაკეთეთ, ზემო და ქვემო სვანეთის დამაკავშირებელი გვირაბი გათვალისწინებული გვქონდა, ახლა ესენი რომ ამბობენ, ამას გავაკეთებთო და აღმოჩენად მიაჩნიათ. სოციალური საკითხები და რეგიონის მოთხოვნები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული. ამ პროექტში ჩადებული გვქონდა, რომ თუ ვთქვათ 1 კვტ დენის თვითღირებულება 3 კაპიკი იყო, 2 კაპიკს იხდიდა ადგილობრივი მოსახლეობა, 1 კაპიკს კი სახელმწიფო დაფარავდა, რომ ადგილობრივებს

გასაყიდ ფასზე გაცილებით ნაკლები გადაეხადა. ამით რეგიონს უფრო შეღავათიანად ცხოვრების პირობები ექმნებოდა. აი, ასეთი სოციალური დაცვის ელემენტები იყო ჩადებული პროექტში, სიტყვიერი შეპირება კი არ უნდა იყოს, არამედ დადასტურებული, ანგარიშებით გამოყვანილი და ქაღალდზე გაწერილი. როდესაც ინვესტორი სულ მცირე რაღაცას არ გპატიობს, ყველაფერს ითვალისწინებს ხელშეკრულებაში, მოსახლეობის ინტერესები არსად არ არის გათვალისწინებული. ამიტომ ეს უმაღლეს დონეზე უნდა იყოს გაყვანილი, ადრე სოციალური ნაწილი ხარჯთაღრიცხვაში 35%-ს შეადგენდა, რაც დღეს შეიძლება ბევრია, ესენი ამხელა თანხის გადახდას ვერ აიტანენ, მაგრამ 17–20%, უკიდურეს შემთხვევაში 10% მაინც უნდა იყოს, ახლა საერთოდ არაფერია. რომ ამბობენ მოსახლეობა ინფორმირებულიაო, პირიქითა, ის სრულ ვაკუუმშია, გარდა იმისა, რომ მან არაფერი იცის, რა ხეირი ექნება ჰესების მშენებლობისგან, სხვაც ბევრი რამ არ იცის. პანკისზე საერთოდ არ მინდა რაიმეს თქმა, რადგან ეს პროცესი გაცილებით ადრე, ხუდონიდან, ანუ 30 წლის წინ არის დაწყებული და დღესაც გრძელდება. პანკისი ერთ-ერთი ბოლო გამოვლინებაა, ხვალ-ზეგ მის ადგილზე სხვა აღმოჩნდება. აჭარაში, რაჭაში, სვანეთში იგივე პროცესები არ მიდის? მიდის პანკისშიც, ძალაუფლების გადამეტება, ის შეცდომები და ექსცესები, რომელიც იქ მხარეებმა დაუშვეს ჩემი გასარჩევი არ არის, მაგრამ ის ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ორგანიზაციული ნაწილი, რასაც ჰქვია მშენებლობის პროცესების დაწყება, ხარვეზებით იყო ჩატარებული. მშენებლობის უფლება როცა არის გაცემული, მშენებელს შემოღობილი უნდა ჰქონდეს ტერიტორია, საყარაულო პუნქტები უნდა ჰქონდეს გახსნილი, დასაწყობებული უნდა ჰქონდეს სამშენებლო მასალა, აყვანილი უნდა ყავდეს დაცვის თანამშრომლები და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მთლიანად ობიექტის დაცვა. ის ტერიტორია, რომელიც მშენებლობისთვის არის განკუთვნილი და გამოყოფილი, კანონის მიხედვით, შეთანხმებული უნდა იყოს ადგილობრივ მოსახლეობასთან, ამ პროცესს ჰქვია სამშენებლო მოედნის შერჩევა. მოედანს რომ შეარჩევ და მოსახლეობას შეუთანხმებ, მერე ის შენ წინააღმდეგობას არ გაგიწევს. რატომ არ შეუთანხმე და უთხარი ხალხს ყველაფერი? ადგილობრივებს ეუბნებიან კაშხალი არ იქნებაო, მაგრამ წყალაღების საშუალება რომ უნდა აშენდეს იმას არ ეუბნებიან. მდინარე რომ უნდა გადაიკეტოს და იქ სანიტარული ხარჯი 10% აიღე, იქნებ არ არის საკმარისი და უფრო მეტია ასაღები? იქ ფაქტობრივად, მდინარე უნდა არეგულირონ, მდინარე როცა მოვარდება, უნდა შეგეძლოს მისი უსაფრთხოდ გაშვება, როცა წყალი დავარდება, კალაპოტმა სასიცოცხლო ფუნქციები უნდა შეინარჩუნოს. ეს ყველა პროცესი არის ამ პროექტში გათვალისწინებული, მაგრამ ხალხმა ეს არ იცის და არც ის იცის რას ნიშნავს მშენებლობის დამთავრების შემდეგ რისკების შემცირება და უსაფრთხო ექსპლოატაცია.

საზოგადოებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა ღონისძიებამ უკვე მიგვიყვანა ენერგიის უკმარისობამდე და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ უარს არ ვიტყვით გაუცნობიერებელი მიმართულებების თეორიულ შესაძლებლობებზე. ფაქტებსა და ლოგიკაზე დაფუძნებულ ნაბიჯებს არ გადავდგამთ ენერგეტიკული კრიზისის დასაძლევად, სანამ მთელი ერი ამ ძალისხმევას საომარი მოქმედების ექვივალენტად და აღმავლობის წინაპირობად არ გამოაცხადებს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

„ჩვენი მთავარი დევიზი უნდა იყოს: მეტი საქართველო კავკასიაში და მეტი კავკასია საქართველოში!“

გვესაუბრება კავკასიოლოგი მერაბ ჩუხუა:

— ბატონო მერაბ, პანკისში ვითარება კვლავ დაძაბულია. თქვენი აზრით, რა მოხდა რეალურად, რა უძღოდა წინ ამ მოვლენებს და რამდენად შეიძლებოდა კრიზისის მართვა?

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ პანკისის მოსახლეობა ბევრად წინ დგას, ვიდრე სხვა დანარჩენი საქართველო. ეს გახლავთ რეგიონი, ჩვენი ქვეყნის განუყოფელი ნაწილი, სადაც ცხოვრობენ ქისტები — საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები, პატრიოტი ხალხი, რომელთაც საქართველო — პანკისი თავის სამშობლოდ მიაჩნიათ. ნებისმიერ დროს — გასაჭირსა თუ ლხინში, პანკისი საქართველოს ქვაკუთხედი, საყრდენი, საფუძველია, რაზეც ჩვენი სახელმწიფო მყარად უნდა დადგეს. მეორე, რაც აუცილებელია და არ გვაქვს, კონცეფციის არქონა გახლავთ. სავალალო ფაქტია, ჩვენი ქვეყანა, გარკვეული თვალსაზრისით, ვითარდება, წინ მიდის ყოველგვარი კონცეფციის გარეშე. არათუ კონცეფცია, სამოქმედო გეგმაც კი არ გაგვაჩნია. ინტერნეტში პანკისთან დაკავშირებით კომენტარებს ვკითხულობ. ხალხი გასული საუკუნის 80–90-იანი წლებიდან ვერ გამოვიდა. ვერ შევიგნეთ, რომ არავინ, არაფერს არ გვართმევს, მით უმეტეს, ქისტები. არავითარი მოწინააღმდეგე საქართველოს პანკისში არ ჰყავს, პირიქით, ჩვენ თავად მიგვყავს ყველაფერი იქეთკენ, რომ ყველაზე ერთგული ხალხი მტრად ვაქციოთ. სამწუხაროდ, სწორედ ასე მოხდა აფხაზეთში. როგორც კი პრობლემა ჩნდება, საუბარს ვიწყებთ იმაზე თუ ვისია ტერიტორია. დროა დავფიქრდეთ, ნუ გავიხდით მტრებს მათ ვინც იყვნენ და კვლავაც საქართველოს ერთგულნი რჩებიან. უპირველეს ყოვლისა, კომენტარები რასაც ვეცნობი შეიძლება ეკუთვნოდეს პროვოკატორს ან უვიც ადამიანს. სამწუხაროდ, ბოლო დროს საქართველო გაშიშვლდა, გაუნათლებლობამ იჭარბა. ამიტომ არის საჭირო კონცეფცია, რათა ქვეყანა უკეთესი გახდეს. უნდა გავთავისუფლდეთ იმ აზრისგან, თითქოს, ვიღაც, რაღაცას გვართმევს, მით უმეტეს, ქისტები. ისინი ჩემთვის უძვირფასესი ხალხია. საქართველოს ამ ურთიერთობისა და სიყვარულის გარეშე, ვერ ვხედავ. ამიტომაც, დიალოგი უნდა გაგრძელდეს.

ქისტი, ჩემთვის, ისეთივე ქართველია, როგორც სვანი, მეგრელი, აჭარელი, თუში და ა.შ. ქისტი ტერორისტებიც კი, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში ჩემთვის გაუგებარი „მიზნებისთვის“ იბრძვიან, საქართველოს თავიანთ სამშობლოდ აღიარებენ და არასდროს ანტიქართული არათუ ნაბიჯი, ფიქრიც არ გაუვლიათ გულში. ეს მათ მაღალ ქართულ თვითშეგნებაზე, საერთო კავკასიურ ცნობიერებაზე მეტყველებს, რის ზღვარსაც ისინი არ აბიჯებენ, თუნდაც ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაში. ეს არის ჩვენი ერის უდიდესი ენერგია, რომელიც გაურკვეველია სად და რატომ გაედინება.

რატომ მოხდა, რომ საქართველოს აფხაზეთში მთელი კავკასია დაუპირისპირდა. იმიტომ, რომ ეს იყო ანტიაფხაზური, ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ომი პროვოცირებული სამხედრო საბჭოს მიერ საქართველოს გასანადგურებლად. ვიცით, რომ საქართველოს რეგიონულ ლიდერობას ალტერნატივა არ აქვს, პლუს განვითარების კონცეფცია — საით მიდის ქვეყანა, რა არის მთავარი ეროვნული იდეა? — ეს არ გვაქვს, არც არავის დაუწერია. საქართველოს გლობალური განვითარების პერსპექტივა რა არის? — ყველაზე დიდი კაპიტალი ეს არის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, მათ შორის ქისტები, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს დიდი სარგებელი მოუტანონ. მაგრამ ისინი, ასევე, შეგვიძლია მტრის ხატად ვაქციოთ, ისე როგორც თავის დროზე აფხაზები. აფხაზს ვუთხარით: შენ, არ ხარ აფხაზი, აფსუა ხარო. ასე არ არის. თამარ მეფემ თავის ერთადერთ შვილს აფხაზური სახელი დაარქვა ნიშნად მოწიწებისა და სიყვარულისა. აი, რა გვაკლია — სიყვარული. ჩვენ რა მარტო საკუთარი თავი გვიყვარს თუ ისინიც ვინც ჩვენი ღვიძლი დები და ძმები არიან და ამავდროულად, არ არიან ქართველები?! რატომ არ არიან ქართველები? — ყველა ქისტი ქართველია იმიტომ, რომ ქართველი, მთელი კავკასია აღიარებს. ამ კუთხით, ჩვენი ქვეყანა, აღიარებული აქვს დაღესტნელსაც, ჩეჩენსაც, ინგუშსაც, ოსსაც, ჩერქეზსაც, აფხაზსაც. ეს არ ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა საერთოდ მოვიხსნათ, პირიქით, ეს არის მეტი პასუხისმგებლობა, მეტი მზაობა იმისთვის, რომ საქართველო რეგიონში წამყვანი იყოს. ნუ დაგვავიწყდება, საქართველო უნიკალური ქვეყანაა, ერთადერთია იბერიული მოდგმის კავკასიელთაგან რომელსაც სახელმწიფო დღემდე აქვს, რაც ჩვენს რასაში სხვას არავის აქვს. მთელი კავკასია ჩვენ შემოგვყურებს იმედის თვალით და ჩვენ, რით ვპასუხობთ?

გამოდის ვიღაც უვიცი და ამბობს: ჩეჩნები, აფხაზები გვებრძოდნენო. ეს ეკადრება საქართველოს, რომელიც მიმაჩნია, რომ მომავალი კავკასიის სახეა. ანუ, როგორ უნდა განვითარდნენ სხვა კავკასიელი ერები და ხალხები საკუთარი სახელმწიფოებრიობის პირობებში. ჩემთვის ეს ხალხები ყველა ოკუპირებულია, ისევე როგორც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ასევეა, ჩეჩნეთიც, დაღესტანიც, ინგუშეთიც და ა.შ. შესაძლოა, თვით რუსეთის იმპერიის ფარგლებშიც კი პროცესები პროგრესის გზით წავიდეს და ეს ხალხები განთავისუფლდნენ და სუბიექტები გახდნენ. საქართველო მეტი უნდა იყოს კავკასიაში და მეტი კავკასია საქართველოში, რისი შესანიშნავი შესაძლებლობაც არიან ქისტები, გამორჩეული ქართველები. ამას განვითარება და სათანადო ხელშეწყობა სჭირდება, ანუ, დიალოგი, რასაც ჩემთვის, უდრის საქართველოს მოქალაქეს. ამ საგანძურს გაფრთხილება სჭირდება. ეს არავის ეყურება და ორ მხარეზე საუბრობენ. არ არსებობს ორი მხარე. კიდევ ერთხელ ნუ დავუშვებთ შეცდომას: ორი მხარე აფხაზეთშიც ხომ ჩვენ გავაჩინეთ.

— ბატონო მერაბ, თქვენ ახსენეთ, აფხაზეთში ორი მხარე გავაჩინეთო. მაშინ ჩრდილო-კავკასიური და ქართული ენერგია ერთმანეთს შეეჯახა. ახლაც ხომ არ არის ქართველებისა და ქისტების ერთობის დარღვევის საფრთხე. რა როლი აქვს ამ ყველაფერში გარე ძალებს, ისინი ჩვენს ენ-ჯე-ოებს სიტუაციის არევაში აძლევენ გრანტებს?

— ძალიან მძიმე კითხვა უნდა დავსვა: ვართ თუ არა ჩვენ ერი? მჯერა, რომ ერი ვართ, მაგრამ ეროვნული გონიერება და ძალა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ აფხაზეთის ომი აღგვეკვეთა. მაშინ საქართველო — ვერც აფხაზები და ვერც ქართველები, ამ ომისგან ვერ დავიცავით. ომი მაშინდელი ხელისუფლებისგან მოდიოდა. ეს არის უმძიმესი დიაგნოზი. დღევანდელ, პანკისის ხეობაში არსებულ მდგომარეობას იმ საშინელებას, რაც ვერ ავაცილეთ ჩვენს ქვეყანას, ვერ შევადრი. მაშინ, შუამავლად გვყავდა სახელმწიფო, რომელიც იმთავითვე ჩვენი განადგურების პროგრამით შემოვიდა კავკასიაში. ეს არის რუსეთის იმპერია. იქ, სადაც საქართველოს ბედი წყდება, სასწორზე დევს სახელმწიფოებრივი აზროვნება, ცხადია გამოჩნდებიან და ჩანან კიდეც ისეთები, ვისაც არეულობა აწყობს. ამ ყველაფერს მთელი საქართველო წინ უნდა აღვუდგეთ. საქმე ყოფნა-არყოფნის საკითხს ეხება. ზოგმა ექსპერტმა მიანიშნა იმაზე, თუ რა საშინელებაში შეიძლება გადაიზარდოს ყოველივე ეს.

— ბატონო მერაბ, როგორც ვიცით, კადიროვს პანკისის ხეობაში გარკვეული ინტერესი აქვს. მას ჰყავს 12 ათასიანი კარგად შეიარაღებული გასამხედროებული ფორმირება, რომელსაც პუტინის გვარდიას ეძახიან. რა საფრთხე არსებობს ამ მიმართულებით?

— კადიროვს ჰყავს არა 12, არამედ 50 ათასზე მეტი შეიარაღებული გასამხედროებული ფორმირება. იგი რუსეთთან ურთიერთობაში ახალ ფორმატს ქმნის. რუსები კი არ კარნახობენ კადიროვს, არამედ იგი კარნახობს კრემლს — რა უნდა გააკეთოს რეგიონში. გესმით, რა რეალობაა. მაგრამ კადიროვს თვით ამ მოცემულობაშიც კი არანაირი ინტერესი ქართულ-ჩეჩნური ურთიერთობის გაფუჭებისკენ არ ჰქონია და არც აქვს. ასე, რომ თემა არ არსებობს. თუ ვართ ერი და სახელმწიფო არ უნდა შევქმნათ იმის მიზეზი, რომ ამ კატასტროფას საქართველო საჯიჯგნად მივუგდოდ. ეს აფხაზეთის ომზე უარესი იქნება. ამის საბაბი არ არსებობს იმიტომ, რომ ქისტები საქართველოს შვილები არიან. ისინი არ დაუშვებენ პანკისის ხეობაში რუსულ ოკუპაციას. ისინი თავისუფალი ხალხია, რომელთაც საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნია. მათი სამშობლო ჩეჩნეთი კი არა, საქართველოა. მინახავს ჩეჩნები, რომლებიც ქართველობენ. ამ დროს ჩვენ რაზე ვსაუბრობთ, რომ ორი მხარე არსებობს?! ორ მხარეს ძალით ქმნიან. არ მგონია, ჩვენი სახელმწიფო სექტორი იმდენად სუსტი იყოს, რომ ამაში მონაწილეობა მიიღოს.

— საუბრობენ, რომ საჩხეა სამთავრობო და პოლიტიკური კრიზისი. შეიძლება ამან არშემდგარი ქვეყნის სტატუსამდე მიგვიყვანოს? საქართველოს 2002 წელს ჰქონდა ეს სტატუსი, რაც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა მოგვანიჭა.

— არა, საქართველო, დღეს, არათუ არშემდგარი, არამედ მრავალი თვალსაზრისით, სანიმუშო ქვეყანაა, სადაც არ ხდება საქართველოს მოქალაქეების არც კონფესიური, არც ეთნიკური ნიშნით დაპირისპირება. გარკვეული თვალსაზრისით, ეს უნიკალური სოციუმია, რომელიც ჰარმონიულად ვითარდება, მაგრამ ყველაფრის დანგრევა შესაძლებელია. ასევე, შესაძლებელია განვითარების ტემპის შეჩერება. ჩვენი ძალა ჩვენს ინტელექტში, პროგრესშია. ქვეყანა, ზოგადად, სწორად ვითარდება, მაგრამ გვაკლია ტემპის ზრდა. ეს განსაზღვრავს თუ სად ვიქნებით ჩვენ დღევანდელი ტემპებით 10, 20 წლის შემდეგ. დავუახლოვდებით ევროპულ ნიშნულს? ვიმეორებ, მეტი საქართველო კავკასიაში და მეტი კავკასია საქართველოში, რაც ქმნის ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობას. ეს არის ჩვენი ძალა. სამთავრობო კრიზის ვერ ვხედავ. დღევანდელი ხელისუფლება უკვე 7 წელია არის და მოსახლეობა მას კომფორტს უქმნის. ვგულისხმობ იმას, რომ ამ პერიოდში არ ყოფილა დიდი გამოსვლები, გაფიცვები, დაპირისპირებები, ეს პლუსიც არის და კომფორტიც. ამან თამასა მაღლა უნდა აწიოს. ეს კომფორტი, თუ გადავხედავთ, საქართველოში არცერთ ხელისუფლებას არ ჰქონია. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას, რაზეც თანამედროვე საქართველო დგას, მის სისხლსა და ოფლზე დგას საქართველოს დამოუკიდებლობა, თავისუფლების იდეა, ღმერთმა მოამადლა ეს მისია. მაინც მოხდა დიდი რამ — 2012 წლის არჩევნებით საქართველოში ახალი ხელისუფლება მოვიდა. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ერი ვართ და შეგვიძლია რეგიონში ახალი პარადიგმა შევქმნათ, რასაც ვიმეორებ: ქვეყნის განვითარების ყველა მიმართულებით სწორი კონცეფცია, ხედვა სჭირდება. ჩვენი იდეაა — საქართველოს გარშემო შემოკრებილი ერთიანი კავკასია, ამ ერთიანობის გასაღები კი საქართველოში, მათ შორის, პანკისის ხეობაში დევს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„თორმეტიანელები“ ღირსეული საქართველოსთვის

პოლიტიკური პარტიების რაოდენობით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა. პარტიების ზუსტი რაოდენობის დასახელება, ვგონებ, სტატისტიკის სამსახურსაც კი გაუჭირდება, თუმცა, მათგან სიკეთე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავის გვახსოვს. 2011 წლის შემოდგომაზე ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამ და მის მიერ შექმნილმა „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს მოსახლეობაში გააჩინა იმედი, რომ ქვეყანაში დასრულდებოდა სისხლიანი „ნაცმოძრაობის“ პარპაში. მართლაც, 2012 წელს საქართველოს მოსახლეობამ ხელისუფლებას ჩამოაცილა დამნაშავე რეჟიმი.

უკეთესი მომავლის მოლოდინი დიდი იყო. ბატონი ბიძინა ივანიშვილის მცდელობით, მართლაც უამრავი კარგი საქმე გაკეთდა საქართველოში, რომელთა ჩამოთვლითაც ახლა თავს არ შეგაწყენ თ. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ ცალკეული წევრების არასწორმა ქმედებებმა მოსახლეობაში გულგატეხილობა გააჩინა. უკმაყოფილება განსაკუთრებით, როგორც ხალხი მიიჩნევს, არასწორმა საკადრო პოლიტიკამ გამოიწვია. მოსახლეობის გულგატეხილობა ჯერ კიდევ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოჩნდა, როდესაც ნაცბანდამ მოსალოდნელზე მეტი ხმები დააგროვა. როგორც ამბობდნენ, ნაცებმა ეს სხვადასხვა მაქინაციების წყალობით მოახერხეს, მაგრამ იქვე „ქართული ოცნების“ არასწორად გატარებულ საკადრო პოლიტიკას უკავშირებდნენ მათ წამოტივტივებას. „ქართული ოცნების“ შეცდომები შარშან საპრეზიდენტო არჩევნებზეც თვალნათლივ გამოჩნდა – გამარჯვებულის გამოვლენას მეორე ტური დასჭირდა. ეს მართლაც ცივი შხაპის ტოლფასი აღმოჩნდა.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი შეცდომა გახლდათ 2011–2012 წლებში აქტიური მხარდამჭერების გვერდზე გაწევა. ცვლილებები საჭირო და აუცილებელია, მაგრამ გამოცდილი, ერთგული და პატიოსანი კადრების უარყოფა არასწორი ნაბიჯი აღმოჩნდა. შარშან, საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ საჭირო გახდა „ქართული ოცნების“ ძველი მებრძოლების მობილიზება.

შანშან ოქტომბრის შუა რიცხვებში მწერალ მერაბ შათირიშვილის ინიციატივითა და თაოსნობით დაფუძნდა საზოგადოებრივი მოძრაობა „თორმეტიანელები ღირსეული საქართველოსთვის“. დაფუძნების პირველივე დღეებში ყოველგვარი ხმაურისა და რეკლამის გარეშე, ორგანიზაცია აქტიურად შეუდგა საქმიანობას, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებაში. მერაბ შათირიშვილის განცხადებით, ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, არ დაიკარგოს „ქართული ოცნების“ 2012 წლის მონაპოვარი, პარტიამ დაიბრუნოს იმიჯი, რომელიც დაარსებისთანავე ჰქონდა, არ დაუშვას ნაცრეჟიმის რეანიმაცია და ქვეყნის სათავეში დაბრუნება, რაც სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი იქნება.

შაბათს, 4 მაისს, პროფკავშირების სასახლეში გაიმართა საზოგადოების შეკრება, რომელიც **მერაბ შათირიშვილმა** გახსნა:

– რთულ პერიოდში მოგვიწია შეკრების გამართვა. ეკონომიკურ გაჭირვებას უამინდობაც დაერთო.

დღეს „პატრიოტთა ალიანსიც“ მართავს შეხვედრას მოსახლეობასთან. იმედია, იქაც საზოგადოების ჯანსაღი ძალები იქნებიან. ჩვენი ორგანიზაცია, მოგეხსენებათ, შარშან ოქტომბერში დაფუძნდა. ამ მოკლე პერიოდში ყველაფერი ვიღონეთ, რომ „ქართული ოცნების“ სახე არ ჩამოშლილიყო, ნაცრეჟიმის მხარდაჭერილ კანდიდატს არ გაემარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. ნაცების კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში ქვეყანაში უმართავი სიტუაცია შეიქმნებოდა. 2012 წელს 9-წლიანი კი არა, ფაქტობრივად, 19-წლიანი რეჟიმი დავამარცხეთ. სააკაშვილი ხომ შევარდნაძის გაგრძელება იყო, ორივე სისხლით, სახელმწიფო გადატრიალებით მოვიდა ქვეყნის ხელისუფლებაში. იმედები, რისთვისაც ხალხმა „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა მხარი, ბევრი არ გამართლდა. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას ყბადაღებული კოჰაბიტაცია იწვევს, რომელიც არასწორ ნაბიჯად მიმაჩნია. თუმცა „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ჰუმანურობა გამოიჩინა, მას არ სურდა საზოგადოების ხელახლა გახლეჩა. მან ასევე გაითვალისწინა 1991 წელს განვითარებული მოვლენები და ქართველები ერთმანეთს არ დაუპირისპირა. როგორ დაუფასეს ნაცებმა, ეს სხვა საკითხია. ახლა იმდენად გათავხედდნენ, ღიად აცხადებენ, გვქონდა შეცდომები, იყო და დანაშაულიც. ამით ცდილობენ მოსახელების მოტყუებას, ვითომ მოინანიეს ცოდვები, გაკეთილშობილდნენ და ამ გზით ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას. კარგად გვახსოვს მათი ნაღვაწი, ამიტომ არ უნდა დავუშვათ მათი მობრუნება. ღმერთმა დაგვიფაროს, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში პირველ ადგილზე ნაცები გავიდნენ, „ოცნება“ კი მეორე ადილზე. ისინი ცდილობენ, ვითომ მონანიებით, ვითომ გულწრფელი დაპირებებით მოიგონ ამომრჩეველთა გული და დაბრუნდნენ სათავეში. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ, სამწუხაროდ, „ოცნების“ შიგნითაც არიან დესტრუქციული ხალხი, რომლებმაც პარტიის აქტიური მხარდამჭერები გვერდზე გაწიეს, მათ აზრს არ ითვალისწინებენ, რითიც წყალს მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხამენ. ვიმეორებ, არ უნდა დავუშვათ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ნაცრეჟიმის ხელისუფლებაში დაბრუნება. იმედს ვიტოვებ, რომ „ქართული ოცნება“ დაიწყებს აქტიურ მუშაობას, რათა ღირსეულად ჩატარდეს მომავალი საპარლამენტო არჩევნები და გაიმარჯვოს კიდეც. ამისათვის კი აქტივს უნდა გაუფრთხილდეს და შეინარჩუნოს.

ტატო თაბაზარაშვილი, „თორმეტიანელების“ თანადამფუძნებელი, ხარაგაული:

– ადამიანები, რომლებიც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები არიან, თავს მიტოვებულებად თვლიან, მაგრამ გულანთებულები დარჩნენ. ჩვენ არ გვაქვს უფლება, 2020 წლის არჩევნების მოახლოებისას არ გავაქტიურდეთ, უმოქმედობით ხელი შევუწყოთ ნაცების დაბრუნებას. პირადად შევეწირები, რათა არ დავუშვათ ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნება. ხარაგაულშიც „ოცნების“ მხარდამჭერები უმოქმედოდ არიან, თითქმის ყველა თანამდებობაზე კვლავ ნაცრეჟიმის წარმომადგენლები არიან. ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შემდეგ იმედი გამიჩნდა, რომ კვლავ გავერთიანდებით და ღირსეულად გავაგრძელებთ ბრძოლას.

ამირან ქარქაშაძე, ტყიბული:

– ჩვენ გულნატკენი ხალხი ვართ და არა გაბუტულები. როდესაც დავჭირდით ქვეყანას და „ქართულ ოცნებას“ დავუდექით გვერდზე და კვლავაც დავუდგებით. საამისოდ უნდა მოგვეცეს საშუალება, გავააქტიუროთ მოღვაწეობა, გავმართოთ შეხვედრები მოსახლეობასთან. მოდუნების დრო არ არის, საჭიროა ბოლომდე ბრძოლა.

კობა არაბული, მწერალი:

– გულითადად მივესალმები „თორმეტიანელთა“ შეკრების იდეას. აუცილებელია პატრიოტული ძალების კონსოლიდაცია. ჩვენი ბრძოლა, რომელიც გვიწევს სხვადასხვა ძალებთან, საკრალური და მნიშვნელოვანია. ხელისუფლებას მოვუწოდებ, გახსნას ოფისები რეგიონებში. იმედია, ყველაფერი გაკეთება „ქართული ოცნების“ კვლავ აღორძინებისთვის, უნდა დავიწყოთ მართლაც ეროვნული მოძრაობა, რათა გამრუდებული გავასწოროთ.

გივი ჭიჭინაძე, პარლამენტის წევრი „ქართული ოცნებიდან“:

– კარგად მესმის და ვხედავ, რა სიტუაციაც არის დღეს ქვეყანაში. ყველაფერ ამას აქვს თავისი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი. სამწუხაროდ, 2012 წლის მებრძოლებზე აშკარა ნადირობაა. ჩემთვის მძიმეა, როდესაც „ოცნებაზე“ განაწყენებულ ხალხს

ვხვდები. არსებული პრობლემების მოსაგვარებლად პირადა მე ყველას გვერდზე დაგიდგებით.

ჯუმბერ ანანიძე, თადარიგის გენერალი:

– კოჰაბიტაციამ დააზარალა „ქართული ოცნება“, მაგრამ ჩვენ კვლავ ფეხზე ვდგავართ, არ ვუღალატებთ იმ იდეებს, რისთვისაც ვიბრძოდით. ჩვენ „ქართული ოცნების“ გვერდზე ვდგავართ, თქვენც, „ოცნებავ“, დაგვიდექით გვერდით. სამწუხაროდ, „ოცნებაში“ ბევრია ჩანერგილი, რათა თავიანთი საქმიანობით შეუბღალონ სახელი. „ქართული ოცნებისგან“ გვინდა დავინახოთ შემხვედრი ნაბიჯები. ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანებს განსხვავებული ყურადრება სჭირდებათ, რათა კვლავ აკეთონ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე.

ინგა იმერლიშვილი, გორი:

– დღეს იმედით და გულისტკივილით ჩამოვედით გორიდან. მახსოვს, 2012 წელს ნაცები გარბოდნენ თანამდებობებიდან. თუმცა ახლა თითქმის ყველა თანამდებობაზე კვლავ ნაცები არიან. მოდით, გორელებს ჩვენი გორული საქმე გვაკეთებინეთ. ახლა დროა, ვისაუბროთ, თუ რა და რატომ ვერ გავაკეთეთ. საამისოდ კი ხელისუფლებასთან მჭიდრო კონტაქტებია საჭირო.

გია ბურდული
551 71 27 07

საქართველო უნდა გათავისუფლდეს ღამურას სინდრომისგან

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოეტი ერეკლე სალღლიანი:

– ბატონო ერეკლე, როგორ შეაფასებთ დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებას, რა რეალობაში გვიწევს ყოფნა?

– დღეს, რეალობა ასეთია: პრაქტიკულად, ყველაფერი რაც ხდება, ჩვენი მოქმედების შედეგია. ანუ, პასუხისმგებლობის გრძნობა არ გაგვაჩნია. როცა ადამიანი საკუთარი თავის წინაშე პასუხს არ აგებს, ყოველთვის ასე ხდება. სამწუხაროდ, დავკარგეთ მეურნის ნიჭი, რაც წინაპრებისგან მოგვდგამდა. ასევე, დავკარგეთ ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი, უნარი, არამარტო სხვასთან, საკუთარ თანამემამულეებთანაც კი. დარწმუნებული ვარ რაც ახლა საქართველოში ხდება, ამას ჩვენი წინაპრები არაფრით დაუშვებდნენ იმიტომ, რომ ისინი ქვეყანას სხვის თარგზე მოჭრილი კანონებით არ მართავდნენ. დღეს, ეს ხდება, რაც ეს ქართველი კაცისთვის ბუნებრივი მდგომარეობა არ გახლავთ. კანონები სხვა ქვეყნებიდან, ჩვენში, მექანიკურად გადმოაქვთ. ყველა ერს თავისი განმასხვავებელი ბუნება გააჩნია, რასაც პატივს ვცემ. იტალიელი თავისი იტალიელობით მიყვარს და ა.შ. იგივეს ელოდებიან ჩვენგან – ქართველებისგან. ამ დროს რა ხდება? – მათ ვთავაზობთ იმის დამახინჯებულ მოდელს, რაც თავად შექმნეს. უნდათ მათ ეს? – რა თქმა უნდა, არა.

საქართველო უნდა გათავისუფლდეს ღამურას სინდრომისგან, თორემ, ხომ გახსოვთ, რაც დაემართა ერთ უგუნურ თაგუნას. ერთ რამეს ვიტყოდი: მანამ სანამ დღევანდელობასთან ჩვენი მამაპაპური კანონების შეჯერება არ მოხდება, მუდმივ გაურკვევლობაში ვიქნებით.

ახლა რაც შეეხება იმას თუ რატომ დაუპირისპირდა მმართველი გუნდის წევრები ერთმანეთს. ბუნებრივია, ეს ასეც მოხდებოდა ერთი გარემოების გამო. ვფიქრობ, როცა „ქართული ოცნება“ ცდილობს ოპოზიციაში ისეთი სახელგატეხილი პოლიტიკური ორგანიზაცია ჰყავდეს, როგორიც „ნაცმოძრაობაა“ წინ ვერასოდეს წავა.

ყველას იმედი გვქონდა, რომ „ნაციონალები“ – ეს სახელგატეხილი ორგანიზაცია ხელისუფლებაში მაინც ვეღარ მოვიდოდა. ამიტომ, „ქართული ოცნება“ ფიქრობდა: იყოს ეს ძალა ჩვენი ოპოზიციაო და ყველანაირად მათი წახალისება ხდებოდა, ყველგან მწვანე შუქი ჰქონდათ ანთებული. შედეგი რა მივიღეთ? – ისე მოძლიერდნენ, ისე მოიკრიბეს ძალა, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალად მოგვევლინენ. ეს ვერ გაითვალა. კი, მიზანი გაქვს, მაგრამ ერთ სვლას რომ აკეთებ, მოწინააღმდეგის სამი სვლა მაინც უნდა გქონდეს გათვლილი.

– ამ ვითარებაში, როგორ მოიქცეს საზოგადოება?

– ხალხმა მმართველობის სადავეები ხელში უნდა აიღოს, სხვა შემთხვევაში ყოველთვის იმ მატარებლის ვაგონებს დავემსგავსებით, რომელთა სვლაც დამოკიდებული არის ორთქმავალზე ან ელმავალზე. დღეს, ხალხს არავინ არაფერს ეკითხება. სხვათა შორის, სულ ასე ხდებოდა. სხვა ქვეყნების ნამდვილად არ მშურს. ღმერთმა დაიფაროს, ჩემს ქვეყანაში მოხდეს ის, რაც ბევრგან ხდება, მაგრამ წესრიგის თვალსაზრისით, ბევრრამ გადმოსაღები გვაქვს. წარმოიდგინეთ, რამოდენიმე წლის წინ, ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა სამი ათეული ხმით გაიმარჯვა. ანუ, იმ სამ ათეულ ხმას ამერიკელები პატივს სცემენ, ანგარიშს უწევენ. ხალხი ჩვენთანაც ასე უნდა მოიქცეს. ანუ, იგი ინერტული მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეს თუ არადა, ასეთ მდგომარეობაში მყოფ ხალხს ყველა ხელისუფლება ისე მოექცევა, როგორც ექცევიან.

– ახლა, ბუშის მაგალითი მოიყვანეთ, არჩევნები ჩვენთანაც ახლოვდება. ზუგდიდში „ნაცმოძრაობიდან“ სანდრა რულოვსი იყრის კენჭს. რა მოლოდინები გაქვთ?

– იცით რა არის, პიროვნულად ქალბატონ სანდრას არ ვეხები, მაგრამ ძალა რომელსაც იგი განასახიერებს, ამაზრზენი, საშინელია. ეს არის სახადი, რომელიც ქართველ ერს აქამდეც უნდა მოეხადა. სახადი ჯერ არ მოგვიხდია, ნელ-ნელა ვიხდით. ვინმეს აქვს სურვილი ისევ იმ კოშმარში დაბრუნდეს? დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნებს „ქართული ოცნების“ კანდიდატები მოიგენენ, მაგრამ მერე, რა იქნება. ზუსტად ვიცი, „ქართული ოცნების“ დეპუტატებში არის რამდენიმე ღირსეული ადამიანი, რომელთაც ეროვნული საქმის კეთება სურთ, მაგრამ შექმნილი ვითარება ამის საშუალებას არ იძლევა. „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებს აუცილებლად მოიგებს, მაგრამ მერე, ნუღარ შეზღუდავენ პარლამენტში მის წევრებს, რათა ეროვნული საქმე აკეთონ. ადამიანს უნდა მისცე კეთების საშუალება, იმაზე დიდი საშინელება, რომ პიროვნებაში ენთუზიაზმი ჩაკლა, ქვეყანაზე არ არსებობს. სხვათა შორის, წლების წინ ჩვენმა გენიალურმა რეჟისორმა რობერტ სტურიუამ დადგა ბერტოლ ბრეხტის სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“. რა არის ამ სპექტაკლში ნაჩვენები: ყველაზე დიდი საშინელებაა ადამიანს სიკეთის კეთება გსურდეს და ამის საშუალება არ გქონდეს. დღეს, ამას გადმოვიტანდი ასე: საშინელებაა, როცა ადამიანს სურვილი აქვს ეროვნული საქმე აკეთოს და ამის საშუალება არ აქვს.

– ივანიშვილმა თავის ბოლო ინტერვიუში სწორედ ამ ეროვნული იდეების წინ წამოწევაზე ისაუბრა, მაგრამ როგორც კი ეროვნული ღირებულებები ახსენა, მაშინვე დაეტაკა ოპოზიცია, ენ-ჯე-ოები და ლანძღვა დაუწყეს.

– გასაგებია. საქმე იმაშია, ხალხს, რომლებიც ამ ეროვნულ ღირებულებებს ებრძვიან, თავად, ჩვენ, ცუდად, ისევ მათივე მეთოდებით ვებრძვით. ამიტომ, ამ ბრძოლას ძალა აღარ აქვს. მათ, მაღალადამიანური პოზიციებიდან უნდა ვებრძოლოთ. ჩვენ კი, ამ დროს, არ ვიყენებთ იმ დიდ ძალას, რამაც აქამდე მოგვიყვანა – ქართველობას. ქართველობა ეს არის ჩვენი დედა ეკლესია, ჩვენი დამბადებელი და გამჩენი. ეს არის ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა. სხვა გზას ვერ ვხედავ. პოლიტიკურ დოქტრინებში ამას ვერ ვიპოვით.

– ზუგდიდის მერის არჩევნებზე რას იტყვით, როგორ ფიქრობთ, თუ იქ სანდრა რულოვსმა გაიმარჯვა, ამას რა შეიძლება მოჰყვეს?

– იცით რა არის, არჩევნები დაპირისპირების კერად არ უნდა ვაქციოთ. იქვეა, აფხაზეთიც. ფაქტობრივად, აფხაზეთი, დღეს, აღარავის აინტერესებს. ამიტომ, რაც დამალული, დაფარული სახით ხდება, სანდრა რულოვსი ამას გამოავლენს, მაგრამ პარალელურად, ამ ყველაფერს თავისი პარტიის ინტერესებსაც დაურთავს. ამიტომ ვამბობ: ზუგდიდში „ქართულ ოცნებას“ თავის დროზე უფრო მეტი საქმე რომ ეკეთებინა, დღეს იქ, „ნაცმოძრაობას“ საყრდენი არ ექნებოდა. და რაკი „ნაცმოძრაობას“ სამეგრელოში და დანარჩენ საქართველოშიც, საყრდენი აქვს, ამის მიზეზი ისევ ჩვენს თავში უნდა ვიპოვოთ, რისი აღიარებაც, სამწუხაროდ, არ გვინდა.

– აფხაზეთი ახსენეთ, დაძაბულობაა პანკისშიც. იგივე ხომ არ მეორდება?

– ვინ გააკეთა მერე ეს – „ნაცმოძრაობამ“? თუ პანკისის კრიზისი „ნაცმოძრაობის“ ბრალია, მაშინ გამოდის, მათ კვლავ ჰყავთ მხარდამჭერები, რომლებიც სიტუაციას რევენ. ვისი ბრალია, ვის მოვთხოვოთ პასუხი? რასაკვირველია, ხელისუფლებას.

იქ ქისტები დიდი ხანია ცხოვრობენ. სხვათა შორის, ბევრმა არ იცის, ჩვენმა მეფეებმა ქისტები იმიტომ ჩამოასახლეს, რომ ეს ხეობა დაეცვათ. მაშინ ხშირი იყო ლეკიანობა, თავდასხმები. ქისტები ერთგულად გვემსახურებოდნენ და პატიოსნად იცავდნენ ამ ხეობას. ძალიან დიდი სასიკეთო როლი ითამაშეს. ერთსაც ვიტყვი: მაჩალიკაშვილის მკვლელობა რომ მოხდა, ხეობამ ამ საქმის გამოძიება ჩვენ მოგვანდო. ჩვენ როგორ მოვიქეცით. ახლაც, უხუცესების სიბრძნე დაგვეხმარა, თორემ უბედურებას ვერ ავცდებოდით.

– ქვეყნის გადარჩენის გზას რაში ხედავთ?

– ერთობაში, სახალხო დიპლომატიის აღორძინებაში. ვფიქრობ, პანკისის ხეობაში ცალკეული ადამიანები უფრო გამოძებნიან საერთო ენას, ვიდრე ხელისუფლება. ამ რესურსსაც არ ვიყენებთ. აფხაზეთი, სამაჩაბლო საერთოდ მივივიწყეთ. არ შეიძლება ეს ხალხი ბედის ანაბარა მივატოვოთ. ერთი ცის და ერთ ჭერქვეშ უნდა ვიცხოვროთ. ეს უნდა გავითვალისწინოთ. შეცდომები რომლებიც დავუშვით, აღარ უნდა გავიმეოროთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

კოლექტიური პასუხი „კოლექტიურ გაუგებრობაზე“

გაზეთ „კვირის პალიტრა“-ში დაიბეჭდა ქართველ ხელოვანთა მიმართვა. ეგ არის, ადრესატის ვინაობა ცოტა ბუნდოვანი გვეჩვენა.

სათაურში თითქოს რუსეთის ავტორთა და შემსრულებელთა ორგანიზაციებს ადანაშაულებენ დისკრიმინაციაში, თან რაღაცას სთხოვენ, თუმცა განცხადების ძირითადი ტექსტი ახალი საავტორო უფლებადამცველი ორგანიზაცია GERA-ს „უკანონო“ საქმიანობას ეხება. განცხადების ხელმომწერთა შორის, სავარაუდოდ, ჩვენი ორგანიზაციის წევრების მეგობრებიც არიან, ამიტომ, მათ გასაგონად ვაცხადებთ, რომ დღიდან დაარსებისა, მაქსიმალურად ვცდილობთ ვიყოთ დელიკატურები და არავის მივაყენოთ შეურაცხყოფა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ჩვენს ოპონენტებზე. აგერ უკვე თვეზე მეტია ვისმენთ და ვკითხულობთ აბსურდულ, ყოვლად დაუსაბუთებელ ბრალდებებს, გვხვდება ცივილური სამყაროსთვის აბსოლუტურად მიუღებელი პიროვნული შეურაცხყოფის ფაქტები. მიუხედავად ამისა, დღემდე ორგანიზაცია, ოფიციალური საჯარო პასუხისგან თავს იკავებდა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენთვის მიუღებელი გიგა კობალაძის უკან მოიაზრებიან ჩვენი კოლეგა-მეგობრები. მაგრამ დადგა დრო, რომ ქართველმა საზოგადოებამ გაიგოს სიმართლე, რადგან ამ განცხადებაშიც და ადრე ბატონ კობალაძის სატელევიზიო გამოსვლებში თუ საგაზეთო სტატიებში ხდება სიცრუის ტირაჟირება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა. შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ ბრალდებებს.

პირველი და მთავარი ცრუბრალდება გახლავთ ჩვენი ვითომ რუსული წარმომავლობა, თუმცა ამის ხელმოსაჭიდი და დამადასტურებელი საბუთი ვერ მოიძიეს, სამაგიეროდ, მოიგონეს ლოზუნგი: **„არა ინტელექტის ოკუპაციას“,** რომელსაც ბევრმა ხელოვანმა დაუჭირა მხარი. სამწუხაროდ, ლოზუნგის ავტორებს ჩვენთვის არ მოუმართავთ, თორემ უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლებოდათ. ერთი ხანობა ვიფიქრეთ, ჩვენც გამოვსულიყავით ანალოგიური მოწოდებით, მაგრამ კარგად რომ დავაკვირდით, ეს ლოზუნგი თუ მოწოდება სრული სისულელეა, რადგან ინტელექტის ოკუპაცია აბსოლუტურად შეუძლებელია. ამას მიხვდა ამ წამოწყების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ბევრი მონაწილეც და მინდა გითხრათ, რომ ეს ხალხი დღეს ჩვენთან თანამშრომლობს. განცხადების ავტორები მათი ვინაობით თუ დაინტერესდებით, ჰკითხეთ ბატონ კობალაძეს და გეტყვით, იმასაც გიამბობთ, როგორ შეუწყვიტა ამ ადამიანებს წევრობის სტატუსი.

სიცრუე გახლავთ ისიც, თითქოს, **„...კანონის შესაბამისად, GCA ერთადერთ უფლებამოსილ ორგანიზაციას წარმოადგენს“** საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში. იუსტიციის სამინისტრომ სწორედ საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით გაატარა რეგისტრაციაში და მისცა ფუნქციონირების უფლება GERA-ს. როგორ დავიჯერო, რომ თქვენ უკეთ ერკვევით კანონებში? ამას გარდა, არსებობს კვალიფიციურ იურისტთა დასკვნა, სადაც შავით თეთრზე წერია, საქართველოს კანონმდებლობაში არსად, ვიმეორებთ გაუგებრებისთვის – არსად წერია, რომ საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის ნება მხოლოდ ერთ, ამ შემთხვევაში, გიგა კობალაძის ორგანიზაციას აქვს (სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ GERA-ს ინტრნეტ ვებგვერდზე).

თუ საკმარისი არ გეჩვენათ, კიდევ ერთ არგუმენტს მოგიყვანთ. ამ კოლექტიური წერილის (რომლის კოლექტიურობაშიც ძალიან გვეპარება ეჭვი) ბოლოს აღნიშნავთ საქართველოს ვალდებულებებზე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების კუთხით; უნდა დაგეთანხმოთ, ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო კონვენციების შესრულება, რომლის ერთ-ერთი ხელმომწერი საქართველოც გახლავთ და სადაც მკაფიოდ წერია, რომ შემოქმედ ადამიანს არ უნდა წაართვა არჩევანის უფლება. გთავაზობთ ამონარიდს იურისტთა დასკვნიდან:

„მნიშვნელოვანია ისმოს სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელო (WIPO Good Practice Toolkit for CMOs (The Toolkit), რომელიც ეხება უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციებს და ადგენს მათი საქმიანობის ძირითად პრინციპებს (1). ამ დოკუმენტში არსად არ არის ნახსენები, პირდაპირ ან ირიბად, ცალკეული ქვეყნების მიხედვით, CMO-ს ფუნქციონირების ექსკლუზიურობის თაობაზე ან მათი რაოდენობის შეზღუდვის შესახებ. უფრო მეტიც, CMO-ს საქმიანობის პრინციპებთან ერთად, სახელმძღვანელოში მითითებულია თითოეული პრინციპის (წესის) თაობაზე ეროვნული კანონმდებლობებიდან და CMO-ბის წესდებებიდან შესაბამისი ამონარიდები. მაგალითისთვის, შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთ-ერთი წესი, რომლის მიხედვით, უფლების მფლობელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შეწყვიტოს CMO-სთან ხელშეკრულება და მიანდოს თავისი უფლებების დაცვა სხვა CMO-ს ან განახორციელოს ასეთი უფლებების დაცვა თვითონ.

აღნიშნული ჩანაწერი ცალსახად ცხადყოფს, რომ დაშვებულია ერთ ქვეყანაში ერთი და იგივე ფუნქციის მქონე ორი და მეტი ორგანიზაციის არსებობა. საწინააღმდეგო განმარტების შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა ავტორის მიერ ერთი ორგანიზაციიდან გამოსვლის და სხვასთან ურთიერთობის დაწყების (გაწევრიანების) უფლების განხორციელება“

სხვათა შორის, მინდა გითხრათ ბატონებო, რომ გიგა კობალაძე განათლებით იურისტი გახლავთ და აგიხსნით, რომ საქართველოს კანონმდებლობა რომც კრძალავდეს ერთზე მეტი ორგანიზაციის არსებობას კონკრეტულ სფეროში, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, უპირატესი უფლება ენიჭება საერთაშორისო კონვენციის შესრულებას. თუმცა, ამ შემთხვევაში, ამის საჭიროება არც არსებობს.

მორიგი სიცრუე გახლავთ ბატონ კობალაძის მტკიცება, თითქოს რუსეთის ავტორთა საზოგადოებას არ გაუწყვეტია GCA-სთან მოქმედი ხელშეკრულება. კოლექტიური წერილის პატივცემულო ავტორებო, ამის დაზუსტება ძალიან იოლია, უბრალოდ, გიგა კობალაძეს კი არ უნდა ჰკითხოთ, არამედ უნდა დარეკოთ რუსეთის საავტორო საზოგადოებაში და ისინი გაგცემენ ზუსტ პასუხს.

კიდევ ერთი, ცოტა ღიმილისმომგვრელი სიცრუეა ბატონი კობალაძის მტკიცება, რომ:-**„საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის” საპირწონედ, რუსულმა მხარემ „ევრაზიის უფლების მფლობელთა საზოგადოების კონფედერაცია” დააარსა, რომელშიც 5 ქვეყანა: აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ბელარუსი შედის.“** წარმოიდგინეთ, რამდენი უძილო ღამე შეალიეს იმაზე ფიქრს, რომ როგორმე GCA-ის საპირწონე საზოგადოება შეექმნა თ. თუ არ გაგეღიმათ, ერთსაც გეტყვით, კობალაძის მონაცემები ორგანიზაციის წევრების თაობაზე მოძველებულია, რადგან მასში, ჩამოთვლილთა გარდა, შედიან; ჩინეთი, მონღოლეთი, სამხრეთ კორეა, თურქეთი და CISAC-თანაც ჩინებული ურთიერთობა აქვთ ერთი უბრალო მიზეზის გამო: ეს არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია (როგორც ამას კობალაძე გიკიჟინებთ).

სიცრუის ტირაჟირებაზე კიდევ შეიძლება საუბარი, ამის ბევრი მაგალითი გვაქვს, მაგრამ ახლა სხვა საკითხზე შევჩერდებით. კოლექტიური წერილების წერა ხშირად იწვევს გამოთქმული აზრების შეუსაბამობას. სამწუხაროდ, თქვენც ასე მოგივიდათ. წერილის დასაწყისში ბრძანებთ: – „...**გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ GCA-ს და თქვენს ორგანიზაციებს (RAO, VOIS) შორის ხელშეკრულების შეწყვეტით დაირღვევა ჩვენი საავტორო უფლებები, რადგან საქართველოში სხვა კოლექტიური ორგანიზაციის არ არსებობის გამო ჩვენი უფლებების განხორციელება შეუძლებელი გახდება რუსეთის ტერიტორიაზე, რაც იქნება დისკრიმინაციული ჩვენს მიმართ...**“ („დიდებული“ ქართულით რომ არის ნაწერი ამას არაუშავს). სიმართლე გითხრათ, ცოტა გაგვიჭირდა აზრის გამოტანა, თუმცა მეგობრები დაგვეხმარენ და აგვიხსნეს, რომ რუსეთის ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს სთხოვთ ხელშეკრულება არ შეგიწყვიტონ. ხომ არ გვეშლება? ჯერ ერთი, ხომ გითხრათ ბატონმა გიგამ, რომ RAO-ს მასთან ხელშეკრულება არ გაუწყვეტია, არ გჯერათ მისი? ეჭვი გაქვთ, რომ გატყუებთ?

ახლა რაც შეეხება შეუსაბამობას. ამავე მიმართვის ბოლოს ბრძანებთ: **„ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულება კი, რასაც საქართველო რუსულ ორგანიზაცებში გაწევრიანების შემთხვევაში დაარღვევს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაბიჯებია, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეასრულოს. იმის გამო, რომ საქართველო ვალდებულია, ინტელექტუალური საკუთრება მკაცრად დაიცვას და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნორმა შეასრულოს, რუსეთის მიერ შექმნილ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა აღნიშნულ კურსს დააკარგინებს.“** სიტყვა „ორგანიზაციები“ თუ არ გვეშლება მრავლობით რიცხვში გაქვთ ნახსენები. რუსეთის მიერ შექმნილ ასეთ ორგანიზაციათა რიცხვს მიეკუთვნება RAO და VOIS-იც. რა გამოდის? თან ეხვეწებით – არიქა, არ გაგვიწყვიტო ხელშეკრულებაო და თან მათთან თანამშრომლობა არ გინდათ, ვაითუ, ამით საქარეთველომ ევროპულ კურსს გადაუხვიოსო?!- კოლექტიური წერილის ძვირფასო ავტორებო, საკუთარ აზრებში რომ გაიხლართეთ, ეს არაფერი, მაგრამ ცოტა ზედმეტი წარმოდგენის ხომ არ ბრძანდებით საკუთარ პერსონებზე?

აქვე უფასო და უანგარო რჩევას მოგცემთ: საგაზეთო სტატიაში სისულელეები არ უნდა წეროთ. თუ ერთ ადამიანს მაინც იპოვით, ვინც ახსნის რისი თქმა უნდა ბატონ კახაბერ ცისკარიძეს, იქნებ დაგვაკავშიროთ, რომ ჩვენც გაგვაგებინოს. რაც შეეხება ქალბატონ ნეკა სებისკვერაძეს, ასეთი კმაყოფილი რომ არის კობალაძის ორგანიზაციის საქმიანობით, იქნებ დაკავშირებოდა უკმაყოფილო თავის კოლეგა-მეგობრებს, მათი აზრიც მოესმინა, რა და რატომ არ მოსწონთ და გაზეთის ფურცლებიდან მერე დაემოძღვრა?!

ზემოთქმულის შეჯამება – ავტორები, შემსრულებლები და სხვა შემოქმედი ადამიანები გიგა კობალაძის ყმები არ არიან. სრულიად საპირისპიროდ – ზუსტად მათ დაიქირავეს ის – CMO –ს მენეჯერად – თავიანთი საავტორო უფლებების სამართავად. როგორც დაიქირავეს, ისე გაათავისუფლეს. ამ უფლებას მათ ვერ წაართმევს ვერც ბატონი კობალაძე, ვერც მისი პროკლამაციების შემქმნელები. GERA-ს ამჟამინდელმა წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება – გაათავისუფლონ კობალაძე და დაიქირავონ სხვა მმართველები. დარწმუნებული ვართ, რომ თავისუფალი არჩევანისა და საკუთარი, თუნდაც ინტელექტუალური საკუთრების განკარგვის უფლება, არის აქსიომა, როგორც ყველა ჩვენთაგანისთვის, ისე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებისთვისაც.

GERA

P.S. ვფიქრობთ, რომ მსგავსი პოლემიკა არ არის სწორი გზა არსებულ ვითარებაში სიცხადის შესატანად. ჩვენ (GERA) მზად ვართ ნებისმიერი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში შევხვდეთ ჩვენს ოპონენტებს და ერთხელ და სამუდამოდ გავაგებინოთ საზოგადოებას რეალური ვითარება.

ელისტრაკო

ელისო, იგივე ელისაბედ, იგივე ელეონორა, იგივე ელისტრაკო კილაძე იცით. ჰო, ზუსტად ეგაა, რომ დაიბადა და ღმერთმა ჩაილაპარაკა, ხელებიც დამიბანიაო. ამას წინებზე გავიგე, მაგ ღმერთგამწყრალ ელისტრაკოს ისევ წამოუწყია „კამპანია“ ე.წ. კახური კლანისა და მისი „მეთაურის“, ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ. სამი წლის წინათ გაუმართლა, როცა პირველად დაიწყო ე.წ. კახურ კლანზე ლაქლაქი, ბევრს სიმართლედ მოეჩვენა და მაინც აგორდა შავი პიარი. ნთქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო, შეიძლება იყო რაღაც დარღვევა მავანთა მხრიდან, ეს თავად ღარიბაშვილმაც აღიარა ტელევიზიით გამოსვლისას, ერთი-ორმა ნათესავმა ცოტა შეტოპა, მათთან ურთიერთობა აღარ მაქვს, ჩემთან ვეღარც კი მოდიანო. საერთოდ, ჩემი და ბევრი კახელის ცხოვრებისეული კრედო ასეთია: როდესაც ჩვენს ახლობელს (ნათესავს, მეგობარს) მაღალ თუ დაბალ თანამდებობაზე ნიშნავენ, თავს შორს ვიჭერთ, ლამის წარსულსაც ვიწყებთ, რათა ხელი არაფერში შევუშალოთ.

სხვათა შორის, ელისტრაკოს (როგორც მიხა სააკაშვილის საუკეთესო მოწაფეს) შეუძლია, ითამაშოს დეგენერატთა ცნობიერებაზე და თეთრი შავად მოაჩვენოს, ანუ რა ჭაობიც თვითონ არის, სხვას გადააბრალოს. ასევე შეუძლია, შექმნას ილუზია, თითქოს ის არის ბიძინა ივანიშვილის ხმა საზოგადოებაში, თითქოს მისი ბინძური პირით ლაპარაკობს ბიძინა ივანიშვილი. სხვათა შორის, პირველ ეტაპზე, ანუ სამი წლის წინათ ეს ნომერი გაუვიდა, ბევრი ე.წ. მოაზროვნე მოტყუვდა. მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე მას ცრუპენტელა და პროვოკატორი ეძახა, „მოაზროვნეებმა“ ენაზე იკბინეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო. იმ პერიოდში, სანამ ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრი იყო, ელისტრაკო ცდილობდა, თავისი ბინძური საცეცების საშუალებით შუღლი ჩამოეგდო ღარიბაშვილსა და კახა კალაძეს შორის. დარწმუნებული ვარ, მას არც ერთთან მისასვლელი გზა არ ჰქონდა, მაგრამ ყველა დონეზე თესავდა ჭორებს. ერთი ხანობა, ბევრი დეგენერატი იმაშიც კი დაარწმუნა, თითქოს მის გაზეთს კალაძე აფინანსებდა და ირაკლი ღარიბაშვილს მისი დაკვეთით ურტყამდა. პრინციპში, ურტყამდა რა, ათასნაირ სიბინძურეს ავრცელებდა. ელისტრაკო იყენებს ყველაფერს, რათა შექმნას ილუზია, თითქოს უამრავი მომხრე და თანამოაზრე ჰყავს – ქმნის ყალბ „ფეისბუქგვერდებს“, გამოგონილი გვარ-სახელებით წერს ასევე უამრავ სიყალბეს და თავისივე ნაქნავს, რომელშიც ყელამდეა ჩაფლული, თავადვე „აპრავებს“. მერე გამოშვანშვალდება ხოლმე „ჭუტა პირველის“ ეთერში და ამტკიცებს, რუსთაველის 12-ში „ბოტების“ ფაბრიკაა. არადა, მთელი მისი ცხოვრება „ბოტურ-კალოშურია“, ანუ ცილისმწამებლური და დაჭაობებულია.

და მაინც, ვინ მართავს, ვინ ასულდგმულებს ქალბატონ ელისტრაკოს? მის „მოღვაწეობას“ ქრონოლოგიურად თუ დავალაგებთ (ისე, მეტი საქმე არ გვაქვს?), ის ყოველთვის უკრავს იმ დუდუკზე, სადაც პერიოდულად შაბაშს იხდიან. თუმცა ხშირად არც იხდიან, მაგრამ თვითონ იგონებს ისეთ ზღაპრებს, თითქოს ყოვლისმცოდნე და პროფესიონალი ჟურნალისტია. 2012 წლამდე ელისტრაკო გახლდათ „ნაცებთან“ მებრძოლი რესპონდენტი, მაშინ არ ჰქონდა გაზეთი, მაგრამ ჰქონდა დიდი გამომგონებლური ნიჭი საინფორმაციო თვალსაზრისით – თუ რამე ისეთს ყურს მოჰკრავდა, ათი იმდენს თვითონ მოაზღაპრებდა და ეგრევე ჰყიდდა. თუმცა უნდა ვაღიაროთ, იმთავითვე ჰყავდა ე.წ. პატრონი, ანუ დამფინანსებელი, ვაკეში უზარმაზარი ოფისის ქირაობას ხელმოკლე ადამიანი ვერ შეძლებდა. ასევე ჰყავდა ინფორმაციის წყარო, როგორც თვითონ ეძახდა და ახლაც ეძახის ხოლმე, ჩიტი, რომელსაც „ნაციონალების“ შტაბიდან გამოჰქონდა ამბები. როგორ გითხრათ, ზოგი ამბავი ნამდვილი იყო, ზოგიც ტყუილი, მაგრამ ამ ყველაფერს თავისებურად აზავებდა. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ვიღაცამ შეუქმნა გაზეთი. პრინციპში, უნდა ყოფილიყო გაზეთი, მაგრამ სინამდვილეში გამოიცა ძონძი, რომლის საშუალებითაც დღემდე სვრის ადამიანებს. როგორც აღმოჩნდა, ვინც გაზეთი შეუქმნა, იმასთან ერთად ვეღარ მოძოვა, შეუტრიალდა და დაუწყო გინება. სხვათა შორის, ბევრისთვის ეს ცხოვრების სტილია, თუ ვინმემ შეგქმნა და მერე ცოტაოდენ ყურადღება მოგაკლო, უნდა შეუტრიალდე და დედის ტრაკი აგინო. თუმცა მხოლოდ დედის ტრაკის ხსენება საკმარისი არ არის, მზად უნდა გქონდეს ფარული ჩანაწერები თუ სხვადასხვა სახის კომპრომატები. ჰოდა, ამანაც, ამ ელისტრაკომ დედ-მამის სული უტრიალა თავის შემქმნელს და დღემდე დანა-სისხლად ჰყავს გადაკიდებული. აქ მთავარი ის გახლავთ, რომ ელისტრაკოს თავიდან განზრახვა ჰქონდა, როგორმე შემძვრალიყო „ქართული ოცნების“ ზედა ეშელონებში, კონკრეტულად კი მიეღწია ბიძინა ივანიშვილის კარამდე, მაგრამ არ გამოუვიდა, ახლოსაც არავინ გაიკარა. საერთოდ, მას სჭირს „მანია გრანდიოზა“, ანუ ისე უჭირავს თავი, თითქოს უბრალო ბოგანო კი არა, პოლიტელიტაში მიღებული ფიგურაა. როცა იმედი გადაეწურა, როცა სამი თითის კომბინაცია აჩვენეს, უაღრესად გამოროტდა და პირდაპირ ბიძინა ივანიშვილს დაეტაკა, ხან რა მოუგონა, ხან – რა. ბოლოს ისიც იკადრა, საღსალამათი ადამიანისთვის ინსულტიანობა დაებრალებინა, ალბათ გახსოვთ, ერთ-ერთ ფარულ ჩანაწერში სააკაშვილი ამბობს, ეგ ქალი ბინძური ვინმეა, მაგრამ გამოგვადგებაო. კარგად რომ გადმოგითარგმნოთ, მიხამ აღიარა, ჩვენნაირი ბინძურიაო. რა ვიცი, სხვანაირად არ გამოდის – ადამიანი, რომელიც ბინძური ქალის გამოყენებას აპირებს, ის ჭაობია. გამოიყენეს მიხამ და ბიძამისმა, ალოკინეს თავიანთი ფეხები. გადაუხადეს, რამოდენიმეჯერ დაიბარეს კონფიდენციალურ ადგილზე და ფული ქეშად გადასცეს. პირველად რომ წავიდა უკრაინაში, 8 ათასი დოლარი ბანდაჟში ჩაიდო. ჩვენს საბაჟოზე გაჭედეს, ამოიღე, ქალო, ფული დეკლარაციით გადმოაქვთ, ნუ გეშინია, მაგისი უფლება გაქვსო. მაინც არ ამოიღო, გაჯინინადა, ფული ჩემია და სადაც მინდა, იქ ჩავიდებო.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ამჟამად ელისტრაკოს ახალი „ფავორიტი“ ჰყავს, უფრო სწორად... უნდა, რომ ჰყავდეს – შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, რომელსაც ბოლო დროს ქებით ლამის ძირს აგდებინებს და ხელოვნურად ქმნის ილუზიას, თითქოს გახარია მისი ახალი პატრონია. ელისტრაკო ცდილობს, ერთი გასროლით სამი კურდღელი მოკლას: პირველი – მაზანდას იწევს „ნაციონალებთან“, თუ ხელის ჭუჭყს არ მომცემთ, იმასთან წავალო, მეორე – უნდა, რომ გახარია დაუპირისპიროს ირაკლი ღარიბაშვილს, მესამე – კიდევ უფრო აქლიავებს თავის ერთ მუჭა გამოქლიავებულ ე.წ. მიმდევრებს. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ უდღეური ქალბატონი წერდა: მორჩა, დამთავრდა გახარიას პრემიერ-მინისტრობა, ხორავას ქუჩის ტრაგედიას სხვა ხელისუფლება გამოიძიებს, ჩემს მამულს არ დაგანებებთო. ესე იგი, გახარია პრემიერობაზე რომ ოცნებობს, ეგ ოცნება ჩაუფლავდა, რადგან ამ ხელისუფლების საქმე წასულიაო. ახლა კი რას აკეთებს, რა თამაშს თამაშობს? კრეტინ ნიკა გვარამიასაც კი ეკამათება, ახლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ძაან მაგარია, შენ მცდარი წარმოდგენა გაქვს, ირაკლი ღარიბაშვილმა და თამაზ თამაზაშვილმა პანკისში პროვოკაცია მოუწყეს, ხალხი ქვებით დაუპირისპირეს, მაგრამ იქიდან მაინც გმირულად გამოვიდაო. ამასთანავე, კაცმა ნარკოტიკების ჩადება აღკვეთაო, აღარ არიო. გახარია არ არის ის კაცი, ელისტრაკოსთან კუდი კუდზე გადააბას, ფული უხადოს და რაც უნდა, ის აწერინოს. ვიმეორებ: ამ ილუზიას ქმნის თავად ელისტრაკო და მეტი დამაჯერებლობისთვის „ნაციონალებსაც“ კი უპირისპირდება. არ იქნებოდა გახარია, იქნებოდა სხვა ვინმე, თუნდაც ქიბროწაშვილი, მას შემდეგ, რაც ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში ისევ გამოჩნდა, ბინძურ ქალბატონს სჭირდებოდა პერსონა, რომელსაც, თავისი ბინძური ჭკუით, საკუთარ თამაშში გამოიყენებდა.

დღეს ბევრი დარწმუნებულია, რომ ელისტრაკოს ჰყვანან მაღალჩინოსანი მფარველები. არ დაიჯეროთ, მისი ე.წ. მფარველები არიან ისეთივე ბინძურები, როგორიც თვითონაა. ისინი რაღაც დონეზე ქაჩავენ, შეუძლიათ, პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დაპატიჟონ, მაგრამ ნამდვილად არ არიან გავლენიანი ფიგურები. საერთოდ, კარგახანია ვაკვირდები და ვინც ელისტრაკოს ჭაობში შედის, ყველა გელა ხვედელიძის ბედს იზიარებს. ალბათ აღარც კი გახსოვთ ეს ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ 2012-ში შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე იყო და რაღაც უხამსი ვიდეოს ატვირთვის გამო გადააყენეს. აი, აქ იხელთა დრო ელისტრაკომ, დაუმეგობრდა, კარგად გამოწურა და ბოლოს მიაგდო.

ელისტრაკოს უყვარს შანტაჟი. საკმარისია, მიესალმო, ან რაღაც თემაზე დაელაპარაკო, ეგრევე გწერს, ჭერში ინახავს და როცა დასჭირდება, თავისებურად იყენებს. მან ბევრი გააჩუმა ამ მეთოდით, ბევრი გამოიჭირა და კარგადაც იხმარა, ბევრს დღესაც ხმარობს. სამწუხაროდ, დღეს (და გუშინაც) საქართველოში პატიოსნებით ჭირს თავის გატანა, თორემ გაიძვერობით, ჩათლახობით, სიბინძურით და ქლესაობით იოლია ცხოვრება. ა, ბატონებო და ქალბატონებო, ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში ელისტრაკო გახლავთ.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ახალი აფერა, ანუ „შვარციკი“, ნელი მოქმედების ნაღმი

ამასწინათ, სრულიად შემთხვევით, ინტერნეტში ქართულ-სომხური ურთიერთობების სრულიად ახალი შტრიხი აღმოვაჩინე, რომლის წითელი ხაზი, ჩემთვის მოულოდნელად, არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალენოვანი“ საქართველოს ხელმძღვანელი არნოლდ სტეფანიანი აღმოჩნდა.

თავიდანვე ვაცხადებ, არ გახლავართ არც რასისტი, არც სომეხთმოძულე, ბევრი სომეხი მეგობარი მყავს თბილისშიც და ერევანშიც, მაგრამ, მიმაჩნია, სათქმელი უნდა ითქვას და სამხილებელი უნდა ვამხილოთ.

ინფორმაცია, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით, სრულიად საჯაროა, თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ არც ისე სახარბიელო სურათს ქმნის, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიე, ჩემი მკითხველებისთვის გამეზიარებინა და მეტი სიფრთხილისთვის, ყველაფერი უფრო თვალნათელი გამეხადა.

როგორც ცნობილია, 2002 წლის მონაცემებით, საქართველოში 248929 სომეხი ცხოვრობს. ეს კი მოსახლეობის საერთო რაოდენობის 5,7 პროცენტს შეადგენს. სომხები საქართველოს სამხრეთით, სამცხე-ჯავახეთში, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში კომპაქტურად ცხოვრობენ.

Поездоник „Шварцик“ сов. секретно

№ 82093 №

1. Фам. Сукиасян
2. Имя Армен
3. Отч. Арменакович
4. Год рожд. 1943 5. Место рожд. Грузия Тбилиси
6. Адрес Тбилиси VII м/р. корп. 84 кв. 52
7. Место работы и должность Ереванский гос. университет, студент
8. Партийность б/п
9. Нац. Армянин 10. Гражд. Грузия
11. Образов. незаконченное высш.

Категория Армян
Когда завербован 05/II 1993
Кем завербован Вергелешкин Н.Р.
II управление 3 отдел
НК РФ — бывш. СССР

Оформить личное дело и взять на учет
II Нач. управления
Фомин А.К.

Карточка «поездника» Ф. № 3-А

ამბობენ, ასევე, ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ეროვნული ბანკიდან 1 მილიარდ 200 მილიონ ევროზე მეტი ფულადი სახსრებიც ამ ადგილებიდან ერევნის ბანკებში ან ოფშორულ ზონებში ინაცვლებს. ეს ფული, ალბათ, ადგილობრივ ეკონომიკურ ბაზაზე ინვესტირებულ, ან ადგილობრივ ეკონომიკურ ბაზაზე ინვესტირებულ ფულად ეფექტურ ინვესტიციებად ქცეულ ფულად ეფექტურ ინვესტიციებად ქცეულ ფულად ეფექტურ ინვესტიციებად ქცე

ნიანს ხშირად იბარებენ რუსეთში, როგორც რუსულ-ქართულ ურთიერთობებში გამოწრთობილ ადამიანს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, მისი მიწვევა რუსულ-ქართულ საზოგადოებრივ დიალოგებში რუსეთში.

ინტერნეტში შეგიძლიათ მოიძიოთ, სტეფანიანის მიერ სხვადასხვა დროს გაგზავნილი შიფროგრამები, ანუ საიდუმლო ინფორმაციები, რაც ადასტურებს მის კავშირებს რუსეთის სპეცსამსახურებთან. ამ მასალებიდან ჩანს, რომ მთავარი ყურადღება საქართველოს სამხრეთ რეგიონზეა გადატანილი. ამიტომ სტეფანიანის მთავარ ობიექტად სამცხე-ჯავახეთი სახელდება. ამ საქმეში, ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციით, მას კურატორობს რუსეთის ФСБ-ს განსაკუთრებული განყოფილების ხელმძღვანელი.

ერთ-ერთი შიფროგრამა იუწყება:

30 апреля 2006 года

25 апреля провели акцию у входа на военную базу с активным участием наших ребят. 26 числа наши смогли блокировать подъездную дорогу к базе и на несколько часов парализовали движение военной техники. В ближайшие дни планирую направить наших людей в сёла для проведения агитации среди населения против вывода базы. В случае мобилизации достаточного количества сторонников, было бы целесообразно провести в Ахалкалаки масштабный митинг. В связи с вышеизложенным, потребуются финансовые средства, о размере которых мы уже беседовали. Жду ваших соображений. **„Шварцик“**

ამ ცნობას სტეფანიანი მას შემდეგ აგზავნის, რაც ის თბილისის პოლიტიკურ ელიტაში აღმოჩნდა პარტია „ახალი მემარჯვენეების“ წევრად...

სტეფანიანს განსაკუთრებითააქტიურებენ არჩევნების დროს, დესტაბილიზაციისთვის სამცხე-ჯავახეთში – ის იქ საჭირო უნდა იყოს, რათა აგენტი მიიღოს პოლიტიკურმა ელიტამ, როგორც საქმიანი ადამიანი. მით უფრო, რომ მის მიმართ პრეტენზიების წაყენება არაა ადვილი, თუ დემოკრატიაა, ყველას ხომ უნდა მიეცეს აქტიურობის შესაძლებლობა?!

იმის მიუხედავად, რომ არნოლდ სტეფანიანი და მისი ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო“ სოროსის ფონდიდან იკვებება, როგორც ხედავთ, ეს არ უშლის ხელს, რუსეთთანაც იქონიოს მჭიდრო კავშირები, რაც ნიშნავს, რომ არსებობს სერიოზული საფრთხე, ნაღმი, რომელიც დროს ელოდება, რომ აფეთქდეს.

მე, ცხადია, ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რამდენად შეესაბამება გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს, მხოლოდ ერთადერთი მიზანი მამოძრავებს, – სათანადოდ შეისწავლონ სპეციალურმა სტრუქტურებმა არნოლდ სტეფანიანზე გავრცელებული ცნობები, შესაბამისი რეაგირებისთვის, რადგან, ქართველთა და სომეხთა ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის და მასში ბზარის შეტანის უფლება არავის არ უნდა მიეცეს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა – გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა

ჩვენო მამულიშვილნო,

საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარის – ბერიძეთა საგვარეულო დარბაზის სახელით გილოცავთ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს – აღდგომას!

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა ქართველი ერისათვის უდიდესი მოვლენაა. იგი ჭეშმარიტი სიცოცხლით სიკვდილის დათრგუნვის ზეიმია. ეს არის დღე-სასწაული სიცოცხლის გამარჯვების, სიყვარულის, რწმენის, სათნოების, იმედის, თანადგომის, ერთსულოვნების, სიკეთის, გამრავლებისა და შრომის! აღდგომის ძლევამოსილება საუკუნეების წინ ირწმუნა ქართველმა და შეისისხლხორცა ქრისტეს რწმენა, რწმენა გამარჯვებისა. სწორედ ამ რწმენით და გამარჯვებებით მოვიდა დღემდე ჩვენი ერი ღვთისმშობლის ლოცვით და უფალ იესო ქრისტეს წყალობით. სიცოცხლის გამარჯვება სიკვდილზე დიდი ფილოსოფიური მოვლენაა, მაგრამ ერთმა ქართველმა ჭაბუკმა ძალზე ლამაზად მიგვანიშნა გამარჯვების ამ მოვლენაზე: „რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ!“ ხოლო მეორე ჭაბუკმა ქართველ ერს მიზნად დაუსახა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“

ვფიქრობთ, ქართველ ერში ნათქვამი ამ ორი სიბრძნითა და სულიერი თაიგულით, ქართველმა ხალხმა ჭეშმარიტად შემოსა ქრისტეს აღდგომა და ალბათ ამიტომაა, რომ თავის დროზე ქართველმა ერმა ღირსეულად ჩაიბარა ქრისტეს პერანგი, როგორც უდიდესი სიწმინდე და სალოცავი!

დედამიწის ზურგზე არ მეგულება ერი, რომელსაც უფრო მეტად სწამდეს უფალ იესო ქრისტესი, ვიდრე ქართველ ერს. მაცხოვრის რწმენა და სიყვარული ქართველ ადამიანს გულში უზის. სწორედ ამ რწმენამ და ლოცვამ გადაარჩინა ჩვენი ერი და სამშობლო. ქეთევან დედოფალმა ქრისტეს რწმენით, სიყვარულით და არაადამიანური წამებით – ღვთაებრივი გვირგვინით შემოსა არა მარტო ქართველი ერი და სამშობლო, არამედ მთელი საქრისტიანო. დიდმა თამარმა ქრისტეს ჯვარზე ილოცა და ფეხშიშველმა გააცილა ქართველი მხედრობა საბრძოლველად. დიდმა ვახტანგმა და ბრწყინვალე დავითმა საქრისტიანო განადიდეს. ქრისტიანული სამშობლოს გადასარჩენად (ხელშეუხებლობის მოტივით) ერეკლე მეორემ ინდოეთი დალაშქრა, გიორგი სააკაძემ – ავღანეთი, დიდმა სტალინმა კი – ქრისტეს სამართლიანობის რწმენით – მსოფლიოს ცივილიზაცია გაჩანაგებისგან (გადაწვისგან) იხსნა. ამიტომაა, როდესაც ქართველები თამარს ვახსენებთ – საქართველოს ვგულისხმობთ, ხოლო ქეთევანის ხსენებისას კი – ქართველ ერს. ესაა ქართველი კაცის ღირსება. ქართველმა ქალმა პატივი მიაგო მაცხოვარს და ღვთისმშობელს უთანაგრძნო. ამით კი თავისი მანდილი დიდების შარავანდედით შემოსა. ამიტომაა, რომ დღეს ქართველი ქალი უფლის სალოცავ საყდარში მანდილის გარეშე არ შედის. ეს ის მანდილია, ქართველ ქალს სიცოცხლეს რომ უხანგრძლივებს, დედობას უწყალობებს, სიყვარულს რომ ანიჭებს...

ქართველმა კაცმა ქრისტეს ჯვარი გულზე დაიკიდა, ქრისტეს კი – გულში მიუჩინა სანუკვარი ადგილი. იგი ყოველთვის მზადაა, თავი ანაცვალოს თამარს (ანუ საქართველოს) და ქეთევანს (ანუ ქართველ ერს).

ბედნიერი და დასაფასებელია ერი, რომელმაც თავის კურთხეულ ქვეყანაში მაცხოვარს იმდენი ტაძარი, ეკლესია, მონასტერი და საყდარი აუგო, რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია. ქართველმა ერმა თავისი ქვეყანა, ანუ საქართველო ერთ დიდ სალოცავ ტაძრად აქცია. თავისი გული კი ბრძოლის ველად: სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების, სიყვარულისა და სიძულვილის, სიმართლისა და სიცრუის, თანადგომისა და განშორების, დაბადებისა და სიკვდილის, სილამაზისა და სიმახინჯის, ერთგულებისა და ღალატის განსასჯელად. და, აქ მთავარია, ამ გულისნადებში (ანუ ბრძოლის ველზე) სად დადგება თვით ეს ადამიანი.

მაშასადამე, თითოეულ ქართველში მაცხოვარი ზის სულიერად, გენობრივად, სისხლხორცეულად, რწმენითა და სიყვარულით. მთავარია, რას მოიმოქმედებს თვით ეს უფლის ნაშობი.

რას აკეთებს დღეს ქართველი ერი? თითოეულ ქართველში აღსდგა იესო ქრისტე თუ არა? თუ არ აღსდგა, დაღუპულია იგი. თუ აღსდგა, მიგვიყვანს იგი ახალ აღდგომამდე? მაცხოვარი აღსდგა ჩვენს გულებში ჭეშმარიტად, თუ მხოლოდ ერთი დღით ვიწამეთ? ერთი კვირით? ამაღლებამდე ერთმანეთს „ქრისტეს აღდგომით“ ვესალმებით თუ მხოლოდ იაფფასიანი გამარჯვებით? სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მხოლოდ ერთი კვირა გავიდა აღდგომიდან და ამ დიდ სიცოცხლის დღესასწაულს „სიკვდილისა სიცოცხლითა დამთრგუნველ“ მოვლენას თან ახლდა ბევრის შემზარავი სატელევიზიო ინფორმაციები. კერძოდ, „პასექის ჟამში“ მომხდარი უბედურობები...

ქართველო ერო, ერო ძლიერო, ბრძენო და მშვენიერო, უხმე გონიერებას ქართველი ხალხის სიბრძნიდან და გაუღე გულისკარი ჩვენს მაცხოვარს – იესოს. იგი სიცოცხლეს, სიკეთესა და სიყვარულს მოგანიჭებს! უარყავ ეშმა და სატანა! ნუღარ ხარ მისი მსახური. იფიქრე მხოლოდ მშვიდობაზე, სიკეთეზე, შვილებსა და შვილიშვილებზე, კეთილგონიერებაზე, მამულსა და სიყვარულზე, მომავალზე. ნუ მიატოვებ შენს სამშობლოს კუჭის გადასარჩენად, იზრუნე სულზე, იზრუნე იმაზე, რომ შენი სამშობლო სხვას არ დაუტოვო. იფიქრე იმაზე, რომ დღეს უკვე სამშობლოს კარგავ და იგი მომავალში აღარ გექნება.

სააღდგომო ეპისტოლეში საქართველოს პატრიარქმა სამშობლოსა და ადამიანის ჭეშმარიტ სიყვარულზე გვიქადაგა. მიგვანიშნა, რომ სამშობლოს წარსულისა და აწმყოს სიყვარული ყოველი ღირსეული ქართველისათვის აუცილებელი პირობაა, სახელმწიფოსათვის კი – სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი გარანტი. გულწრფელად ვაღიარებ, რომ სამშობლოს სიყვარული დღეს ქართველებს მეორე პლანზე გვაქვს გადადებული. არადა, საინფორმაციო საშუალებები და სოციალური ქსელები ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ დიდი საშიშროებების შესახებ გვაუწყებენ. ვფიქრობთ, რომ ეს თითოეული ჩვენგანის ბრალია. პატრიარქმა ამაზე შეფარვით მიგვანიშნა... „თვალნათელი გახდა, როგორ დეგრადირდება ადამიანი უფლის გარეშე, როგორ ადვილად გადაგვარებადია იგი, როგორი უგნური და თვითგანადგურებისკენ მიდრეკილი ხდება ის...“

შექმნილ მდგომარეობაზე რადიკალურად გვიქადაგა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილმა) და გვაუწყა, რომ, შესაძლოა, სისხლის შეწირვაც კი მოგვიხდესო.

ერი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეცადოს, დაძლიოს შინაური მტრები: სატანები, მოღალატეები, ველური, გადაგვარებული, სულ და ზნედაკარგული ქართველები, რომლებიც ქვეყნის წმინდა აურას აბინძურებენ, სამშობლოს დოლარებზე ჰყიდიან. ესენია მთავარი მტრები, თორემ ქართველი კაცის დამამარცხებელი უცხო ტომის კაცი ჯერ არ დაბადებულა.

ნუ ვიქნებით პრეტენზიულნი ახალბედა თუ ძველი მთავრობების მიმართ. ქართველებს ხომ კონსტიტუციაში გვიწერია: სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხიაო.

ქართველმა ხალხმა ერთად მოვიპოვოთ ეროვნული გამარჯვება.

ქართველი ერის გზა – ქრისტეს გზაა, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა!

ესეც ქართველმა ბრძანა.

ერო ძლიერო, როგორც შიდა, ისე გარე მტებისაგან ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა საგანგაშოა. დროზე მივხედოთ ჩვენს სამშობლოს. დრო აღარ ითმენს. შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯრით და ხსნის იმედის მუზარადით, რადგან ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად!

წმიდა გიორგობას გილოცავთ ღვთისმშობლის რჩეულო ქართველო ერო!

ქრისტესმიერი სიყვარულითა და ერისადმი თანადგომით,

ვაჟა ბერიძე
ბერიძეთა საგვარეულო დარბაზის ეთნარქი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ქვასროლიები, ქართველი დრაკულა და მისი ცოლი

საქართველოს პენიტენციარული სისტემის დაწესებულებებში 2009 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილ პატიმართა ზუსტი რაოდენობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ომბუდსმენმაც კი ვერ მოიპოვა და მას მიუწვდომელი უწოდა.

პანკისის ხეობაში დედა არ აიყვანდა შვილს ხელში, ისეთი ხელჩართული ომი გაჩაღდა ქვების სროლით.

რატომღაც მეცნო ეს სცენარი. ასეთი „ომი“ ადრეც მქონდა ნანახი – ეს ხომ „ნაცმოძრაობის“ ხელწერა იყო პირველყოფილი ადამიანების მეთოდებით?!

ადრეც ასე „იბრძოდნენ“ – 2003 წელს ბოლნისში „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“, რომლებსაც უკვე ნაციონალები ერქვათ, თავიანთ იდეოლოგიურ მამებს – „მოქალაქეთა კავშირის“ წევრებს, წინასაარჩევნო პერიოდში აზრთა სხვადასხვაობის გამო ჩაუსაფრდნენ და ქვების სროლა დაუწყეს. მოქკავშირის წევრები და რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქეც დაშავდა მაშინ.

2004 წელს გლდანის ეკლესიის დარბევამდე, **ბიბა ბოკერია** მიეჭრა და სპეციალურად მომზადებული ბელთა-ბელთა ქვები დაუშინა მორწმუნე მრევლს.

2012 წლის ივლისში, ასევე წინასაარჩევნო პერიოდში, გორის რაიონში, კარალეთში, **კახი კალაძეს** და „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებს ნაციონალებმა – გორის მაჟორიტარის – **ბადრი ბასიშვილის** ე.წ. ზონდერებმა ქვები დაუშინეს.

2016 წელს მარნეულში, ისევ წინასაარჩევნო პერიოდში საართუ მერი გახდა სულ წიხლებით რომ გამოაგდებენ მერის კაბინეტიდან იქ მისულებს – მომხრესაც და არამომხრესაც.

დარჩელში ბუნკერს ისევ აამოქმედებენ, თუ ვინმე ჯაზზეა, იქ ჩვენო უბანს ნაციონალები ქვებითა და ხელკეტებით არბევენ.

2017 წელს იმ აქციის მონაწილეებმა, რომელიც ნაცმოძრაობის მიერ იყო პროვოცირებული, პოლიციას და პოლიციის მანქანებს ქვები დაუშინეს.

ხომ გაგახსენდათ და ხომ დამეთანხმებით, რომ ვაშლის ხის ნაყოფი ვაშლია, ხოლო გველისგან ბატკანი არ წარმოიშობა.

●

შუალედურ არჩევნებში ზუგდიდის მერობის კანდიდატად ქვასროლია ნაციონალებმა თავიანთი ჯოკერი – სანდრა რულოვსი წარმოადგინეს.

არის ერთი ამბავი, კოცნა და მოფერება – ჩვენი სანდრა გვიბრუნდებაო.

ღმერთმა არ ქნას და, სანდრამ თუ გაიმარჯვა ზუგდიდში, იმის გარდა, რომ ცოდვა მათ კისერზე იქნება, ვინც ხმას სანდრა რულოვსს მისცემს, ცოდვის კითხვა მერე იკითხეთ ზუგდიდსა და სამეგრელოში.

სანდრას მოალერსეები იმაზე არ ფიქრობენ, სანდრა რულოვსი უკრავენ თავს სპეციალურად გამოყვანილ კასტილებიან კუროსთან და ასე ამოხდიან სულს, გაუპატიურებულებს კი ჯანმრთელ ორგანოებს ამოაცლიან, სიამოვნებით.

ნუთუ ვერავინ ხვდება, რომ ყველაფერი სპეციალურად კეთდება სწორედ სამეგრელოს საბოლოოდ ამოსაძირკვად და გენეტიკურად და მენტალურად გასანადგურებლად?!

სამწუხაროა, რომ არავის ახსოვს ტბაში დაძირული ბიჭების გვამები სამეგრელოში.

მოკლე მეხსირება აღმოგვაჩნდა, თორემ სანდრა რულოვსი როგორ უნდა იჩლექდეს ენას ზუგდიდში?!

ნაციონალების მმართველობის დროს ათეულობით ადამიანია გამქრალ-გაუჩინარებული სამეგრელოს რეგიონიდან მაშინ, როცა პირველი ლედი გახლდათ ეს გადამთიელი და უდარდელად ღიღინებდა პრეზიდენტის სასახლეში საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე.

●

რამდენიმე თვის წინ ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლის დირექტორი **ია კერზაია** ინსულტის დიაგნოზით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

„ნაცმოძრაობა“ მის გარდაცვალებაში „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებს, ხოლო ცხონებულ ქალბატონ კერზაიას რეჟიმის მსხვერპლს უწოდებს – კერზაია „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი იყო და „ქართულმა ოცნებამ“ შეიწირაო...

ამ დემაგოგიურ მსჯელობაში ნუ შევალთ, მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ პერიოდში აღზევებულ რამდენიმე ჯალათს გაგახსენებთ, რომლებმაც არაერთი ადამიანის მთავარი უფლება – სიცოცხლე შეიწირა და მერე მოიყვანონ არგუმენტად პოლიტიკური ანტიპათიის გამო სავადმყოფოში გარდაცვლილი ქალბატონი კერზაიას მაგალითი და დაასახელონ, ვინ არის ის, ვისაც მისი გარდაცვალება ბრალდება.

სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით ათეულობით ჩვენი თანამოძმის მწამებლებისა და მკვლელების სახელები და ჩამოგითვლით მათ ნაწილს, რომლებიც ახლა გამახსენდა.

– **ხათუნა კალმახელიძე**, "სიკვდილის ექსპორტის" მინისტრი – ნომერ პირველი ჯალათი.

მისი მინისტრობის პერიოდში პატიმრებს მასობრივად აწამებდნენ.

– **ალექსანდრე მუხაძე**, მეტსახელად **„ქილერა“** – გლდანის მე-8 საპყრობილის დირექტორი. მის სახელს უკავშირდება ასობით პატიმრის წამება. პროფესიით ექიმი "ქილერა" სასჯელაღსულების სისტემაში ბაჩო ახალაიასთან ერთად სასჯელაღსრულების სისტემაში 2006 წელს მივიდა და აქტიურად ხვეწდა პატიმრების წამების მეთოდებს.

– **მეგის ქარდავა** – განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ჯალათი. პენიტენციარულ სისტემაში **ბაჩო ახალაიასთან** ერთად მივიდა. მას შემდეგ, რაც ახალაია თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანეს, ქარდავა სამეგრელო–ზემო სვანეთის პოლიციის სამმართველოში გადაისროლეს. მის სახელს უკავშირდება მსჯავრდებულ **მალხაზ არქანიას** სადისტური წამება. არქანია სცემეს, საკუთარი ჩვენება აჭამეს, ჯერ გაუპატიურებით დაემუქრნენ. შემდეგ მისი გაუპატიურება სცადეს. პარალელურად, ფოტოებს უღებდნენ.

მალხაზ არქანიას წამების უშუალო მონაწილე სწორედ მეგის ქარდავა გახლდათ, რომელიც არქანიას საწამებლად მე-8 საპყრობილეში სპეციალურად შევიდა.

– **გოგა ბუთლიაშვილი** – გლდანის მე-8 საპატიმრო დაწესებულების სოციალური სამსახურის უფროსი, სასჯელაღსრულების სისტემაში "ქილერას" თანმხლები პირი და მისი მარჯვენა ხელი. ბუთლიაშვილი უშუალოდ სცემდა და აწამებდა პატიმრებს;

ციხის სამკურნალო დაწესებულების დირექტორობიდან **"სიპიტის" (ევროსაბჭოს წამებისა და არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციით შექმნილი ორგანო)** მიერ 2009 წლის სექტემბერს გამოქვეყნებული დასკვნის შემდეგ გადააყენეს.

– **თამაზ მელაძე** – გლდანის მე-8 საპყრობილის ყოფილი დირექტორი. ეს თანამდებობა მასაც **„სიპიტის"** მიერ გამოქვეყნებული დასკვნის შემდეგ დაატოვებინეს.

– **რობერტ არაქელოვი** – განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ჯალათი, ქსნის საპატიმრო დაწესებულების ყოფილი დირექტორი. თანამდებობა მასაც "სიპიტის" დასკვნის შემდეგ დაატოვებინეს.

– **ავთო პოპიაშვილი, გიორგი ბიწაძე** – ციხის სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლები; ისინი 2010 წელს სახალხო დამცველის ანგარიშში მოხვდნენ, როგორც პატიმრების მწამებლები;

ნაწამები ჰყავთ ათობით პატიმარი;

– **გიორგი კოხრეიძე** – დაბა ქსნის მე-15 საპატიმრო დაწესებულების დირექტორის მოადგილე და **ლევან ლეჟავა** – რეჟიმის უფროსი – 2010 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალება დღეს, ღამის ათ საათზე სპეცრაზმმა პატიმრები დაბა ქსნის მე-15 დაწესებულებაში სასტიკად სცემეს; ისინი გააშიშვლეს და სპეცრაზმის ე.წ. ცოცხალ კორიდორებში გავლისას რეზინის ხელკეტებს ურტყამდნენ. ამ საქმეში სპეცრაზმელებს **გიორგი კოხრეიძე** და **ლევან ლეჟავა** ეხმარებოდნენ;

– **ქიტესა გულისაშვილი, გელა ოსიავა** – დაბა ქსნის მე-15

საპატიმრო დაწესებულების გამორჩეული ჯალათები. ნაწამები ჰყავთ არაერთი პატიმარი;

– **ლაშა ბრეგვაძე, დავით ბუხრაშვილი** – ლაშა ბრეგვაძე რუსთავის მე-17 საპატიმრო დაწესებულების ხელმძღვანელი, ითვლებოდა ახალაიას კლანის წევრად – პენიტენციარულ სისტემაში ახალაიას მისვლის შემდეგ გამოჩნდა. ბრეგვაძის სახელს უკავშირდება მსჯავრდებულ **ილგარ მამედ–ზადეს** წამება. პატიმრის მიერ დაწერილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბრეგვაძე მის მოადგილესთან, დავით ბუხრაშვილთან ერთად მამედ–ზადეს სასტიკად აწამებდა;

– **დავით მარგებაძე** – რუსთავის მე-6 საპყრობილის დირექტორი – მონაწილეობდა პატიმარ კახაბერ თედლიაშვილის წამებაში; **კახაბერ თედლიაშვილი** ჩამომხრჩვალი იპოვეს. ამკვიდრებდნენ თვითმკვლელობის ვერსიას, მაგრამ ადვოკატთა და ექსპერტთა განმარტებით, თედლიაშვილი მოკლეს;

– **ჯონი ივანიშვილი** – რუსთავის მე-6 საპყრობილის თანამშრომელი –მონაწილეობდა, ასევე, კახაბერ თედლიაშვილის წამებაში;

– ვინმე **ანგო** – გლდანის მე-8 საპყრობილის თანამშრომელი – სასტიკად აწამებდა პატიმრებს;

– **დათო ხონსკი** – გლდანის მე-8 საპყრობილე – სასტიკად აწამებდა პატიმრებს;

– **გოდერძი გუნიავა** – მე-7 საპყრობილის დირექტორი, სასიკვდილოდ აწამა გაიოზ ზვიადაძე;

– **გია კირკიტაძე** – ექიმი, რუსთავის მე-6 საპყრობილეში – მხილებული იყო პატიმართა დაუნდობელ წამებაში;

– **აფციაური** – რუსთავის მე-17 დაწესებულების ექიმი – მხილებულია პატიმართა სასტიკ წამებაში;

– **შოთა თოლორდავა** – ქსნის მე-15 საპატიმრო დაწესებულების დირექტორი – მხილებულია პატიმართა წამებაში;

– **კესო დანელია** – ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის მე-5 დაწესებულების ექიმი – მხილებულია პატიმართა წამებაში;

– **დიმიტრი ჩხეიძე** – ქსნის ციხის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი – სასტიკად სცემა პატიმარი **ილია ჭიჭიბოშვილი**;

– **ბეჟა მჭავანაძე, ბაკურ ქავთარაძე, რომან მიქავა,** ექიმები: **ნუნუ მჭედლიშვილი, მაყვალა მღებრიშვილი** – გლდანის ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები: – **ცოტნე გამსახურდიას** ინფორმაციით, პატიმრებს უმოწყალოდ აწამებდნენ;

– **ზაზა ზარნაძე** – რუსთავის მე-6 დაწესებულების სოციალური განყოფილების თანამშრომელი, პატიმრებზე მიზანმიმართულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და დაშინებას ახორციელებდა. პატიმრების გარდაცვალების ფაქტები საპატიმრო დაწესებულებებში რომ არ დაფიქსირებულიყო, როგორც ცნობილია, გარდაცვლილი პატიმრები სამოქალაქო ტიპის კლინიკებში გადაჰყავდათ, რაც იმ ხანებში სახალხო დამცველმა "სიკვდილის ექსპორტად" შეაფასა.

გარდაცვლილ პატიმართა 22% 30 წლამდე ასაკის იყო, 19% – 40 წლამდე, 20% – 60, ხოლო 9% – 70 წლამდე, ანუ **გარდაცვალების ძირითადი მაჩვენებელი ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე ადამიანებზე მოდის და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გარდაცვლილ პატიმართა უმრავლესობა სამეგრელოს მკვიდრი იყო.**

საქართველოს პენიტენციარული სისტემის დაწესებულებებში 2009 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილ პატიმართა ზუსტი რაოდენობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ომბუდსმენმაც კი ვერ მოიპოვა და მას მიუწვდომელი უწოდა.

უფლებადამცველები მიიჩნევენ, რომ ციხეებში გარდაცვლილთა რაოდენობა ზუსტი არ არის და შესაძლოა ოფიციალურად გაცხადებულზე ბევრად მეტი იყოს.

ამ მცირე სტატისტიკით მაინც ხომ ხედავთ, რატომ არავის ავიწყდება ის ავბედითი 9 წელიწადი?

მკვლელი რეჟიმის მამამთავრის – სააკაშვილის თანამეცხედრე, კაცის, რომელსაც ადამიანების წამების სპეციალურად გადაღებულ კადრებს მისივე მოთხოვნით აყურებინებდნენ, ეს ქართველი დრაკულას ცოლი, დღეს ტკბილი ხმით ცდილობს მიიტყუოს ახალი მსხვერპლი...

ესენი, ეს ქვასროლია ჯალათები, ყველაფრის მკისრელები და მკადრებლები არიან, მათი მობრუნება კი ჩვენი საბოლოოდ განადგურების საწინდარი...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

– ვაპირებდი ბინის ყიდვას. მოველაპარაკე მესაკუთრეს. დავუტოვე ბე. შემდეგ სხვა ბინა ვნახე და მისი ბინის ყიდვა გადავიფიქრე. მან ბე არ დამიბრუნა, მიუხედავად ჩემი მოთხოვნისა. მითხრა, შენ დამაზარალე, მე მაგ თანხით ვაპირებდი იაფად ბინის ყიდვას, ახლა ის ბინა გაიყიდაო ასევე, მითხრა, მე რომ დამერღვია ეს პირობა, ბე ორმაგი რაოდენობით უნდა დამებრუნებინაო. რამდენად სამართლიანია მისი საქციელი?

– სამოქალაქო კანონი ამ შემთხვევაში მის მხარეზეა.

მუხლი 422. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში

ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება, – ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

მუხლი 423. ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში

1. თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

2. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

* * *

– ჩემი ქალიშვილი იყო დანიშნული. საქმრომ ჩაშალა ნიშნობა. შეგვიძლია თუ არა, შევიტანოთ სასამართლოში სარჩელი და მოვითხოვოთ დაქორწინება?

– არა, არ შეგიძლიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

* * *

– ვინ ითვლება მარტოხელა მშობლად?

– თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191[1]-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

1. მარტოხელა მშობელი არის ამ მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

2. მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

3. მარტოხელა მამა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

4. მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძველია ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მეორე მშობლის შესახებ ჩანაწერის შეტანა, შვილის (შვილად აყვანილი პირის) მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება, რომელიც გამორიცხავს მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონას.

5. მარტოხელა მშობლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით.

* * *

– ჩემი არასრულწლოვანი შვილიშვილი უნდა გავატანო ახლობელს თურქეთის რესპუბლიკაში თავის მშობლებთან. რა საბუთები დაგვჭირდება?

– თქვენს არასრულწლოვან შვილიშვილს პირველ რიგში უნდა აუღოთ ბიომეტრიული პასპორტი. ამისათვის საჭიროა მისი ორივე მშობლის თანხმობა. მათ ეს თანხმობა უნდა განაცხადონ ნოტარიუსთან სკაიპის საშუალებით. ეს თანხმობა თარგმნილ უნდა იყოს თურქულ ან ინგლისურ ენებზე. თარგმანი უნდა დადასტურდეს, ასევე, სანოტარო წესით. მშობლებმა, ასევე, თანხმობა უნდა განაცხადონ იმის შესახებ, რომ თქვენი არასრულწლოვანი შვილიშვილის თურქეთში წაყვანას და / თუ საჭიროა, წამოყვანასაც/ ანდობენ ამ ახლობელს. ეს თანხმობაც სკაიპითა სანოტარო დადასტურებით კეთდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიხვდით ალბათ; თქვენი შვილიშვილის

თურქეთში გასაგზავნად გჭირდებათ პასპორტი და მშობლების თანხმობები.

* * *

– ჩემმა შვილმა ოჯახური უთანხმოების ნიადაგზე დაჭრა სიმამრი. სასამართლო- ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ იგი დანაშაულის ჩადენის დროს იყო შეურაცხადი. რა მოხდება შემდეგში?

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით შეწყვეტს მის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია «ფსიქიატრიული დახმარების შესახებ» საქართველოს კანონის 221 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განჩინებით გადაწყვიტოს ამ პირისთვის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების საკითხი. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით.

ამავე მუხლის მე-2[1] ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე განჩინებით განსაზღვრავს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ვადას. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს. ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და ბრალდებულის საკუთარი თავისთვის ან/და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარის ან/და ძალადობის შემცველი ქცევის რისკის ხარისხი, რომელთა შეფასებაც მოცემულია ბრალდებულის შერაცხადობის თაობაზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში. ამასთანავე, განჩინებაში მიეთითება, რომ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა შეიძლება შეწყდეს დადგენილ ვადაზე ადრე, «ფსიქიატრიული დახმარების შესახებ» საქართველოს კანონის 221 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრისთანავე, თუ მათი აღმოფხვრა დადასტურდება იმავე კანონით.

შეცდომის გასწორება

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში დაბეჭდილ მასალაში „ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის“ იბერიულ-კავკასიური მოძრაობის ლიდერთან, ბატონ **ბესო მიქავასთან** ინტერვიუში დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა.

„გამსახურდიამ 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის 1921 წლის კონსტიტუცია აღადგინა“-ს მაგივრად უნდა იყოს: **ზვიად გამსახურდიამ 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტი აღადგინა 9 აპრილს, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე.**

რატომ იმარჯვებენ არჩევნებში მსახიობები?

როცა პოლიტიკა ბალაგანად იქცევა, ქვეყანაში კი მწვავე კრიზისია, არჩევნებში გამარჯვების მეტი შანსი აქვთ კომიკოსებს და კლოუნებს

თავიდან იყვნენ მსახიობები

უკვე დიდი ხანია, სხვადასხვა ქვეყანაში მსახიობები ცნობილი პოლიტიკოსები ხდებიან და ხელისუფლების სათავეშიც ექცევიან ხოლმე. აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი ვერასოდეს გახდებოდა თეთრი სახლის პატრონი, მეოცე საუკუნის შუა წლებისთვის ამერიკელი ხალხის საყვარელი მსახიობი რომ არ ყოფილიყო. მართალია, იგი არასოდეს ყოფილა კომიკოსი, ის სიმპათიური, სამართლიანი და ქალების მიმართ დელიკატური დადებითი გმირების როლებს ასრულებდა, რომლებიც მას აღმერთებდნენ.

იგივე სიტუაციაა ინდოეთში, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში. პრაქტიკულად ყველა პოლიტიკოსი, მოყოლებული XX

ს-ის 50-იანი წლებიდან, ცნობილი მსახიობია, რადგან მადრასი (ახლ. დენაი) ინდოეთში ერთ-ერთი ცნობილი კინოცენტრია ბოლივუდის შემდეგ.

ამ მხრივ ევროპაც არ დარჩენილა გვერდზე. მაგალითად, ტყუპი ძმები კაჩინსკები, რომლებთან დაკავშირებული ეპოქა პოლონეთის პოლიტიკაში ჯერ არ დასრულებულა, 1962 წელს გადაიღეს საბავშვო ფილმში „მათ შესახებ, ვინც მთვარე მოიპარა“, რომელიც პოლონეთში დღემდე პოპულარულია.

თავისი ძმის, პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის გარდაცვალების შემდეგ იაროსლავ კაჩინსკი პოლონეთის პოლიტიკის საკვანძო ფიგურად რჩება. ძმები ნამდვილ პოლიტიკოსებად ჩამოყალიბდნენ, მათ შეძლეს წარმატებით დაპირისპირებოდნენ პოლონეთის ისტებლიშმენტის ლიბერალურ ნაწილს, რაც ხშირად როდი ხდება.

თუმცა იმ პირობებში, როდესაც პოლიტიკა გადაგვარების გზაზეა, ხოლო ამომრჩევლები გრძნობენ, რომ მათ ატყუებენ და პოლიტიკა მასების იმედგაცრუების შოუდ იქცა, ესტაფეტა მსახიობი-პიოლიტიკოსებისგან ნამდვილმა კლოუნებმა გადაიბარეს.

ბეპე გრილო – ყველაზე წარმატებული კლოუნი

იტალიელმა კომიკოსმა ბეპე გრილომ, რომელიც მუდმივად აკრიტიკებდა კორუფციას და კორუმპირებულ პოლიტიკოსებს დასცინოდა, შეცვალა იტალიური პოლიტიკა, როცა შექმნა „მოძრაობა „5 ვარსკვლავი“. იგი ტელეეკრანებზე 1977 წელს გამოჩნდა, 2009 წელს კი გახდა პოპულისტური ევროსკეპტიკური პოლიტიკური ძალის თანადამფუძნებელი, რომელიც ცოტ-ცოტა მემარცხენე და მემარჯვენე შეხედულებებს იზიარებდა და დღეისათვის მემარჯვენე კონსერვატიულ „ლიგასთან“ ერთად, რომელიც ოდესღაც სეპარატისტულ იდეებს იზიარებდა, ხელისუფლების სათავეში მოექცა.

ორივე პარტია ხალხს ემსახურება და არა გლობალისტურ ელიტას, რა თქმა უნდა, გარკვეულ ჩარჩოებში. მათ არ შეუძლიათ ევროკავშირიდან იტალიის გაყვანა, სამაგიეროდ, შეუძლიათ არალეგალური მიგრაციის შეჩერება და საპენსიო ასაკის შემცირება.

2018 წელს საპარლამენტო არჩევნებში გრილოს მოძრაობამ პირველი ადგილი დაიკავა და ხმების 32,7% მოიპოვა. წარმატების მიზეზი გერმანული გამოცემისთვის მიცემული გრილოს ინტერვიუ გახდა, სადაც მან განაცხადა, რომ იტალიის პარლამენტის თითქმის ყველა დეპუტატი არღვევს კანონს, უბრალოდ, ზოგს ამხელენ, ზოგის დანაშაული კი დაუსჯელი რჩება. დეპუტატებს ხალხი კი აა, პარტიის მდივნები ირჩევენ, ამიტომ პარლამენტარები ხდებიან ცოლები, საყვარლები, მომრიგებლები, მაფიის და კამორას წევრები.

გრილო თვითონაც ნასამართლევია ავტოსაგზაო შემთხვევის გამო. ამიტომ იგი არასოდეს აცხადებდა პრეტენზიას სახელისუფლო თანამდებობაზე. ყოველდღიურად გრილოს ბლოგს მილიონამდე ადამიანი კითხულობს, ხოლო მის ტვიტერს ამდენივე სტუმარი ჰყავს.

კომიკოსი, რომელმაც პირობა დადო, რომ დაპირებებს არ შეასრულებდა

უახლესი ევროპული ისტორიის პირობებში ერთ-ერთი პირველი კომიკოსი, რომელმაც წარმატებას მიაღწია, ისლანდიის ექს-მერი იონ გნაარია. 2009 წელს ხუთი შვილია მამამ, პოლიტიკისგან შორს მდგომ მეგობრებთან ერთად ხუმრობით დააარსა „საუკეთესო პარტია“. 2010 წელს ამ პარტიამ რეიკიავიკის მერის არჩევნებში გაიმარჯვა კიდეც – მას ხმა მისცა ქალაქის მოსახლეობის 34,7%-მა, რომლებიც მსოფლიო კრიზისის გამო დაზარალდნენ.

პარტიის ყველაზე მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ ისინი ღიად კორუმპირებულები იქნებოდნენ და ყველა მიცემულ დაპირებას დაარღვევდნენ.

მიუხედავად ასეთი დაპირებებისა, ამომრჩევლები არ მოტყუებულან, როცა მერად გნაარი აირჩიეს. იგი კარგი მერი აღმოჩნდა და თავისი ქალაქისა და ქვეყნისთვის ბევრი რამ გააკეთა.

თავის უპირველეს გამარჯვებად იონ გნაარი მიიჩნევს, რომ ადამიანებს დაუბრუნა იმედი, რომ ყოველთვის შეიძლება რაიმეს შეცვლა.

კომიკოს-ნაციონალისტი გვატემალიდან

ლათინურ ამერიკაშიც არიან კომიკოსები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ გვატემალის პრეზიდენტი 2016 წლიდან – ჯიმი მორალესი.

თავის ძმასთან, სემისთან ერთად ჯიმი კინოინდუსტრიაში მოღვაწეობდა, 15 წელი მონაწილეობდა ფილმებში და ჰქონდა საკუთარი კომედიური პროგრამა. კარიერა ბანანების გაყიდვით დაიწყო და კარგად იცნობდა თავისი თანამოქალაქეების ცხოვრებას. ხელისუფლების სათავეში კი პოლიტიკური კრიზისის გამო მოხვდა.

მორალესმა გამარჯვებას მიაღწია წინასაარჩევნო დაპირებებით. იგი აცხადებდა, რომ ბრძოლას გამოუცხადებდა კორუფციას, გვატემალას დაუბრუნებდა ბრიტანეთის მიერ წართმეულ ბელიზს და აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ პოლიტიკურ ელიტას არ ეკუთვნოდა. მორალესმა ამომრჩევლების მოლოდინი ვერ გაამართლა – მას არ დაუწყია კორუფციასთან ბრძოლა, გვატემალა კი ლათინურ ამერიკაში კვლავ ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ და საშიშ ქვეყნად რჩება.

ლენინიც კომიკოსია

ეკვადორის პრეზიდენტი 2017 წლიდან ლენინ მორენო მემარცხენე შეხედულებების მიმდევარია. მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია იუმორის, ხუმრობისა და სიცილის თერაპიისადმი პროფესიული დამოკიდებულება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკოსისთვის, რომელიც თავისი სეხნიასავით მოქნილი აღმოჩნდა პოლიტიკაში და რომელიც ძარცვისას დაჭრეს და ამის გამო ინვალიდის ეტლს არის მიჯაჭვული.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, ხელისუფლების სათავეში მოსულ არც ერთ კომიკოსს თავისი ქვეყანა არ დაუღუპავს, საკუთარი ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესება კი ერთეულებმა შეძლეს. კომიკოსებისა და კლოუნების უკან ყოველთვის ვიღაც დგას და მათ იმავე წესებით უწევთ თამაში, როგორც სხვებს.

კომიკოსები ქვეყნებს მართავენ, ზოგიერთი ქვეყნის პრეზიდენტი კი კლოუნივით იქცევა...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ლაუნჯი „ესკობარი“

ლაუნჯი „ესკობარი“ ეს არის ადგილი, რომელიც მრავალფეროვანი პროგრამით, უგემრიელესი კერძებითა და ბარმენის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებით ანებივრებს სტუმრებს. ცოცხალი მუსიკა, DJ, კარაოკე, ბენდი თუ სოლო შემსრულებლები, უამრავი გათამაშება და საჩუქრები, ეს ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია. ორშაბათიდან – ორშაბათამდე, დილის 10:00 საათიდან – გამთენიის 04:00 საათამდე, ესკობარი მზადაა აქციოს თქვენი დღე დღესასწაულად. ლაუნჯი „ესკობარი“, მისი უმშვენიერესი ტერასით, მზად არის უმასპინძლოს თქვენს კორპორატიულ საღამოებს, პრეზენტაციებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებს.

მისამართი: თბილისი,
ავლიპ ზურაბაშვილის N 13-15
ტელეფონი: 555 607 999

საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge